პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 274 (16095)

23 ნოემბერი შაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

გეგმა—ვადამდე!

რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა თერთმეტი თვის გეგმა

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადამდე, 22 ნოემბერს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის 1974 წლის იანვარ-ნოემბრის გეგმა და თვის ბოლომდე დარჩენილ დროში დამატებით გამოუშვებენ რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქციას.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის, ქარხანა „ელექტროიზოლიტის", ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკისა და პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, ტყავის საწარმოო გაერთიანების, შამპანური ღვინოების ქარხნის, გაერთიანება „თბილღვინოს", კონიაკის ქარხნის, ჩაის საწონი ფაბრიკის, ცხიმკომბინატის, № 1 და № 3 წისქვილკომბინატების, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, ცემენტის ქარხნის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, „გელათისა" და კიროვის სახელობის საწარმოო სამკერვალო გაერთიანებების, მაუდის ფაბრიკის, აგრეთვე ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, „საქქვანახშირის" კომბინატის, გორის ბამბეულის კომბინატის, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის, კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივებმა.

(საქინფორმი).

მეცხოველეობას —დიდი ზრუნვა!

სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებთან ერთად მეცხოველეებიც შეაჯამებენ ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის შედეგებს. მათ წინაშე ახლა ყველაზე რთული და პასუხსაგები პერიოდი ეს არის პირუტყვის გამოზამთრება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე პირდაპირ ითქვა, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულმა ორგანიზაციებმა სასოფლო რაიკომებმა, საოლქო კომიტეტებმა მთელი სიზუსტითა და სიმკაცრით უნდა გაუწიონ კონტროლი, თუ როგორ მტკიცდება მეცხოველეობის საკვები ბაზა, როგორ უმჯობესდება ჯოგის სტრუქტურა, როგორ არის ინტენსიური სარძეო მეცხოველეობის, სპეციალიზებული სახორცე მესაქონლეობის, მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმე.

სწორედ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხების მასობრივი შემოწმებისა და კონტროლის მიზნით, აგრეთვე იმისათვის, თუ როგორ მოემზადნენ ფერმები ზამთრისათვის, 23-24 ნოემბერს ეწყობა მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერება.

დათვალიერება — კონტროლისა და შემოწმების ეს მასობრივი საშუალება — ნამდვილად კარგ დროს, ზამთრის დადგომის წინ ეწყობა. ცხადია, დათვალიერება გამოავლენს მოწინავეებსაც და ჩამორჩენილებსაც, მაგრამ მთავარია არა მარტო ეს, არამედ ის, თუ როგორ უსწრაფესად გამოვასწორებთ ნაკლოვანებებს და როგორ მოფიქრებულად მოვაწყობთ მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, დანერგვას.

წლევანდელი წლის განვლილი პერიოდის შედეგები ცხადყოფენ, რომ ბევრგან ფერმებში საგრძნობლად განმტკიცდა შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა, დიდი ყურადღება მიექცა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვას. შარშანდელთან შედარებით იმატა წველადობამ გურჯაანის, აბაშის, გაგრის, ქობულეთის და სხვა რაიონების ფერმებში. გურჯაანის რაიონში შარშანდელთან შედარებით ერთ ძროხაზე 223 კილოგრამით მეტი რძე მიიღეს. ამასთან, ერთობ შემცირდა დანახარჯები რძის წარმოებაზე. ეს გაკეთდა იმის შედეგად, რომ გურჯაანელებმა წლეულს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მეცხოველეობას, გამონახეს პროდუქციის გაიაფების საშუალებანი. ასევე ითქმის აბაშის, გაგრისა და ქობულეთის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ფერმებზე, სადაც შარშანდელთან შედარებით ერთ ძროხაზე 203-222 კილოგრამით მეტი რძე მიიღეს.

რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებაში მაინც არიან ჩამორჩენილი რაიონები, სადაც მომატების ნაცვლად პროდუქტების წარმოება შემცირდა. ტყიბულის საქალაქო საბჭოში შემავალი სოფლების ფერმებმა შესაბამის პერიოდში ერთ ძროხაზე წველადობა 43 კილოგრამით შეამცირეს, ორჯონიკიძის რაიონში კი — 10 კილოგრამით.

უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციას. შენდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და მეღორეობის კომპლექსები, მეფრინველეობის დიდი ფაბრიკები. ამასთან, მოლდაველთა მაგალითით იქმნება მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებანი. უნდა მოველოდეთ, რომ უახლოეს წლებში მეცხოველეობაში მტკიცედ დამკვიდრდება ინდუსტრიული მეთოდები, რაც შეამსუბუქებს შრომას, საგრძნობლად შეამცირებს პროდუქციის ერთეულზე დანახარჯს და საერთო ანგარიშით საზოგადოებრივი მეცხოველეობა რენტაბელური გახდება. მანამდე კი, ვიდრე დიდი კომპლექსების მშენებლობა დამთავრდებოდეს, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების, სპეციალისტების საპატიო ვალი ის არის, რომ ახლანდელ პირობებში გააკეთონ იმის მაქსიმუმი, რის შესაძლებლობაც აქვთ.

ასე ფიქრობენ და აკეთებენ კიდევ წითელწყაროელი მეცხოველეები. მაგალითად, წითელწყაროს რაიონში შარშანდელთან შედარებით წლეულს საგრძნობლად გადიდდა ყოველ 100 დედაღორზე ნამატის მიღება.

ნამატის მიღებისა და შენარჩუნების საქმე სათანადოდ ვერ დგას რესპუბლიკის მეცხვარეობის რაიონების ბევრ ფერმაში. ამის გამოა, რომ შარშანდელთან შედარებით იკლო ყოველ 100 დედაცხვარზე ნამატის მიღებამ და შენარჩუნებამ. ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა თეთრი წყაროს რაიონში. შარშან აქ ყოველ 100 დედაცხვარზე 80 ბატკანი მიიღეს, წელს კი — 54, ადიგენის რაიონში 73 ბატკნიდან 61-მდე შეამცირეს, საგარეჯოს რაიონში 84-დან 66-მდე.

პირუტყვის მოვლა-პატრონობის შესუსტებაზე, ზოოვეტერინარული წესების დაუცველობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივ მეურნეობათა ფერმებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს პირუტყვის სიკვდილიანობას. შარშანდელთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დაავადებით გაწყდომის პროცენტი გადიდდა ზნაურის, ცაგერის, მესტიის, სოხუმის, გუდაუთის რაიონებში.

ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის რაიონებს წლის მეტ დროს პირუტყვი ბაგურ კვებაზე ჰყავთ. მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს წვნიან საკვებს, მაგრამ ეს, ეტყობა, ვერ გაითვალისწინეს ამ რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა და სილოსის ჩადების წლინახევრისა კი არა, ერთი წლის გეგმებიც ვერ შეასრულეს. საინტერესოა, ზამთრის პირას როგორ ფიქრობენ ამ ნაკლის გამოსწორებას?

წინა ზამთრის მწარე გაკვეთილი არ უნდა დაივიწყონ ყიზლარის საძოვრებზე მოზამთრე რაიონების კოლმეურნეობათა მეცხვარეობის ფერმების მუშაკებმა. საქმე ისე უნდა დააყენონ, რომ რაც უნდა მკაცრი ზამთარი იყოს, ცხვარმეცხვარეს არ გაუჭირდეს.

საზოგადოებრივი მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების დათვალიერების დროს გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ქმედითი ღონისძიებები ახლავე, ერთი დღის დაუგვიანებლად უნდა გატარდეს.

ლ. ი. ბრეჟნევი ვლადივოსტოკში

ვლადივოსტოკი, 22 ნოემბერი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი დღეს ვლადივოსტოკში ჩამოვიდა. სურათზე: შეხვედრის დროს.

საკდესის სპეციალური კორესპონდენტების ვ. მუსაელიანისა და ი. მურავინის ტელეფოტო. (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ვლადივოსტოკში ჩავიდა

ხაბაროვსკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, მოგზაურობაში ლ. ი. ბრეჟნევის თანმხლები ოფიციალური პირნი დღეს ხაბაროვსკიდან ვლადივოსტოკში გაემგზავრნენ.

ხაბაროვსკის აეროპორტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი გააცილეს სკკპ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. კ. ჩორნიმ, სკკპ ამურის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ს. ავრამენკომ, სკკპ კამჩატკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ი. კაჩინმა, სკკპ მაგადანის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ა. შაიდუროვმა, სკკპ სახალინის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ა. ლეონოვმა, სკკპ იაკუტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ი. ჩირიაევმა, ებრაელთა ავტონომიური ოლქის სკკპ საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ბ. შაპირომ, ხაბაროვსკის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ე. პოდგაევმა, სკკპ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრებმა, შორეული აღმოსავლეთის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ნ. დ. პესკოვმა.

ვლადივოსტოკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ვლადივოსტოკში ჩამოვიდა, სადაც შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. ფორდს.

ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, საკდესის გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი გ. მ. კორნიენკო.

ვლადივოსტოკის აეროპორტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს დახვდნენ სკკპ პრიმორსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. ლომაკინი, პრიმორსკის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე ი. ი. შტოდინი, შორეული აღმოსავლეთის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ვ. ი. პეტროვი, წყნარი ოკეანის წითელდროშოვანი ფლოტის სარდალი ვიცე-ადმირალი ვ. პ. მასლოვი, სკკპ პრიმორსკის სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრები.

ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები გულთბილად და გულითადად მიესალმებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს.

აეროდრომიდან ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მატარებლით გაემგზავრა რეზიდენციაში ვლადივოსტოკის მახლობლად.

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ზამბიის მოლაპარაკება

21 ნოემბერს კრემლში დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კ. ტ. მაზუროვის მოლაპარაკება ზამბიის რესპუბლიკის პრეზიდენტ კ. კაუნდასთან, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც გულითად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა სასარგებლო გაზიარება სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-ზამბიის ურთიერთობის განვითარების საკითხებზე, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. ამასთან ყურადღება დაეთმო სამხრეთ აფრიკაში შექმნილ ვითარებას, კოლონიალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის აფრიკელი ხალხების ბრძოლის საკითხებს.

22 ნოემბერს კრემლში გრძელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კ. ტ. მაზუროვისა და ზამბიის რესპუბლიკის პრეზიდენტის კ. კაუნდას, ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური, კონსტიტუციური, სამართლებრივი და საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის ე. მუდენდას მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს ყოველმხრივ განიხილეს საბჭოთა კავშირისა და ზამბიის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები.

მხარეებმა ერთმანეთს დაწვრილებით გაუზიარეს აზრი მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე. (საკდესი).

მეგობრულ ვითარებაში

22 ნოემბერს ზამბიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დოქტორმა კენეტ დ. კაუნდამ საუზმე გამართა.

საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. პ. ვადერი და სხვა ოფიციალური პირნი.

საპატიო სტუმართან ერთად საუზმეზე იყვნენ მისი თანმხლები ზამბიის სახელმწიფო მოღვაწეები, აგრეთვე ზამბიის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში დ. სიბაჯენე.

საუზმის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, კენეტ დ. კაუნდამ და ნ. ვ. პოდგორნიმ სიტყვები წარმოთქვეს.

მონგოლეთის ნათელი გზა

21 ნოემბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ზეიმით აღნიშნეს მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობის 50-ე წლისთავი და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 50-ე წლისთავი.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, მ. ს. სოლომენცევი, ვ. ი. დოლგიხი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე კ. თ. ილიაშენკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ტ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა თავმჯდომარეები ა. პ. შიტიკოვი და ვ. პ. რუბენი, სსრ კავშირის მინისტრები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მრეწველობის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მხედართმთავრები, საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის მეგობრობის საზოგადოების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები. აქვე იყვნენ მონგოლეთის მშვიდობისა და მეგობრობის ორგანიზაციების ფედერაციის და მონგოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის წევრები მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის, საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის დ. ცევეგმიდის მეთაურობით, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჰ. ბანზრაგჩი, სხვა მონგოლი ამხანაგები.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. თ. დემენტიევამ.

მოხსენებით გამოვიდა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ტ. ნოვიკოვი.

მონგოლეთის დელეგაციის მეთაური დ. ცევეგმიდი საზოგადოების ხელმძღვანელობისა და აქტივისტების სახელით მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით ძმურად მიესალმა საბჭოთა ადამიანებს, გამოთქვა მეგობრობის, პატივისცემისა და მადლიერების მხურვალე გრძნობები. (საკდესი).

საკდესის ცნობა

„მოლნია-3"

ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით კავშირგაბმულობის სისტემების შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად 1974 წლის 21 ნოემბერს საბჭოთა კავშირში მაღალ ელიფსურ ორბიტაზე გაუშვეს კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია-3" საბორტო სარეტრანსლაციო აპარატურით, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის მუშაობას სანტიმეტრი დიაპაზონის ტალღებზე.

კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია-3" უზრუნველყოფს შორეული სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაციას საბჭოთა კავშირში, „ორბიტის" ქსელის პუნქტში სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემას და საერთაშორისო თანამშრომლობას.

„მოლნია-3" თანამგზავრის მეშვეობით კავშირგაბმულობის სეანსები მოეწყობა დასახული პროგრამის შესაბამისად.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. ვ. ზიმიანინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „პრავდის" მთავარ რედაქტორს ამხ. მიხეილ ვასილის-ძე **ზიმიანინს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის ორდენი** და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური"**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1974 წ. 20 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იმის გამო, რომ 18 დეკემბერს მოწვეულია სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია, დაავალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგეგმო-საბიუჯეტო კომისიებს, დარგობრივ კომისიებსა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებს წინასწარ განიხილონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმა, სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. ამასთან პრეზიდიუმმა ურჩია კომისიებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების დაჩქარებას და მათს ათვისებას, შიდასამეურნეო რეზერვების უფრო სრულად გამოყენებას.

21 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ კ. თ. ილიაშენკომ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ მოაწყეს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიების, მრეწველობის კომისიების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიების, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიების, სოფლის მეურნეობის კომისიების, სახალხო მოხმარების საქონლის კომისიების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიების, სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომისიების, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის კომისიების, ბუნების დაცვის კომისიებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიების თავმჯდომარეების თათბირი, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის და 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარი განხილვისათვის პალატების მუდმივ კომისიათა მუშაობის ორგანიზაციის საკითხები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. შიტიკოვი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. პ. რუბენი. (საკდესი).

23-24 ნოემბერს მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერება

გამოცდის წინ

გორი

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ კარგად გამოაზამთრონ პირუტყვი. პირველ რიგში იზრუნეს საკვებით უზრუნველყოფაზე. ადგილზე დაგროვილია საკმაოზე მეტი უხეში საკვები, სენაჟი და სილოსი. რაიონში თივის დამზადების გეგმა განაღდებულია 128 პროცენტით. გეგმაზე 77 პროცენტით მეტი დაამზადეს სილოსი და 17 პროცენტით მეტი ყველა სახის უხეში საკვები.

გორის რაიონის მშრომელებმა მიმდინარე წლის 10 თვის შედეგები რომ შეაჯამეს, დადგინდა, რომ ისინი წარმატებით ხვდებიან მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკურ დათვალიერებას. შარშანდელთან შედარებით ხორცი წარმოებულია 1.126 ცენტნერით მეტი, რძე — 6.960 ცენტნერით, კვერცხი — 2.974 ცალით მეტი. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 192 კილოგრამით მეტი რძე.

(„კომუნისტის" კორ.).

ახმეტა

სანიმუშოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი, მივცეთ სამშობლოს მეტი მეცხოველეობის პროდუქტები — ასეთი დევიზით მუშაობენ ახმეტის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების ფერმების მუშაკები. ბეჯითი მუშაობით წელს 10 თვეში 1973 წლის ამავე პერიოდთან შედარებით მიღებულია 1.838 ცენტნერით მეტი ხორცი და 2.410 ცენტნერით მეტი რძე.

ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს პირუტყვის სადგომების წესრიგში მოყვანა, დათბუნვა, დეზინფექცია და სხვ.

პირუტყვის კარგად გამოზამთრების მიზნით რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს ნაყოფიერად იმუშავეს. სილოსის დამზადების გეგმა გაანაღდეს 118 პროცენტით, თივისა — 175 პროცენტით. უხეში საკვების მომარაგების წლიურ გეგმა-ვალდებულებას 17 პროცენტით გადააჭარბეს. („კომუნისტის" კორ.).

აბაშა

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარგად იმუშავეს პირუტყვისათვის წვნიანი საკვების სილოსის მოსამარაგებლად. ეს სამუშაო შესრულდა 106 პროცენტით, სენაჟის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, თივისა — 121 პროცენტით. ამჟამად მიღებულია ყველა ზომა იმისათვის, რომ უხეში საკვების გეგმა წარმატებით შეასრულონ.

კეთილარის, ნორიოსა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, სუჯუნის, ზანათისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში ძირითადად პირუტყვის სადგომები დათბუნებული და დეზინფექცირებულია. ფერმების მომუშავეთათვის შექმნილია მუშაობის ნორმალური პირობები.

აბაშელები წელს კარგად მუშაობენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. 10 თვეში შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით ხორცის წარმოება გაადიდეს 460 ცენტნერით, რძისა — 2.580 ცენტნერით, ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 203 კილოგრამით მეტი რძე. („კომუნისტის" კორ.).

წლიური დავალება გადაჭარბებით

მეცხოველეობის ფერმების დათვალიერების წინადღეებში ვანის რაიონის მშრომელებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 679,6 ტონა ხორცი, ნაცვლად გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 629 ტონისა, 1.347,3 ტონა რძე, ნაცვლად 1.300 ტონისა.

სახელმწიფოს მიეყიდა 984 ათასი ცალი კვერცხი, ნაცვლად 705 ათასი ცალისა. მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება. ეს რედაქციას აცნობეს პარტიის ვანის რაიკომის მეორე მდივანმა **გ. ერისთავმა,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **ხარძეიშვილმა** და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **მოსულიძემ.**

მსოფლიო დღეს

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ამხანაგო ლ. ი. ბრეჟნევ!

ულან-ბატორი, 21 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბაბენკო გვატყობინებს: სახალხო მონღოლეთის მშრომელები ცხოვრობენ დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია მზადებით საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის შესახვედრად, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით მონაწილეობას მიიღებს მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის მესამე ყრილობის 50 წლისთავის და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ნახევარი საუკუნის იუბილეს დღესასწაულში.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი ენთუზიაზმით ელიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, მგზნებარე ლენინელს, მონღოლი ხალხის უახლოეს მეგობარს, განაცხადა მონღოლეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ გ. ოჩირბატმა.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრესა, რადიო და ტელევიზია კვლავ ბეჭდავენ და გადასცემენ უამრავ მასალას შრომითი კოლექტივების მიღწევათა შესახებ, რომლებიც საიუბილეო ვახტზე დადგნენ ღირსსახსოვარი თარიღებისა და საპატიო საბჭოთა სტუმრების ვიზიტის აღსანიშნავად. ამ ვახტში მონაწილეობს ქვეყნის 600-ზე მეტი საწარმო. მათ უკვე გამოუშვეს 14 მილიონი ტუგრიკის ზეგეგმითი პროდუქცია.

მონღოლი რკინიგზელები, ისევე როგორც რესპუბლიკის მთელი მუშათა კლასი, უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ იმ სასიხარულო ცნობას, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩამოვა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, თქვა სოციალისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა შ. ტუგშმა.

საბჭოთა დელეგაციის მომავალი ვიზიტი, ხაზი გაუსვა შ. ტუგშმა, ახალ დიდმნიშვნელოვან ფურცელს ჩაწერს ჩვენი ქვეყნების ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობისა და მრავალმხრივი ნაყოფიერი თანამშრომლობის მატიანეში, და ჩვენ სულითა და გულით ვამბობთ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევ!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, საპატიო საბჭოთა სტუმრებო!“.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი მონღოლი ხალხის უახლოესი მეგობარია, — აღნიშნავს მონღოლეთის ცენტრალური რადიოს მიმომხილველი. — იგი განუწყვეტლივ იღვწის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ეგებება რა რესპუბლიკის ნახევარი საუკუნის იუბილეს, მონღოლი ხალხი გულწრფელ მადლობას უძღვნის დიდ საბჭოთა ხალხს უანგარო ინტერნაციონალური დახმარებისათვის. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახით მონღოლეთის მშრომელები მიესალმებიან მთელ საბჭოთა ხალხს — კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნიზმის მშენებელს.

მთავრობის კრიზისი მთავრდება

რომი, 22 ნოემბერი. (საკდესი). იტალიაში მთავრდება მთავრობის კრიზისი, რომელიც თვენახევრის წინათ დაიწყო „მემარცხენე ცენტრის“ კოალიციური მთავრობის გადადგომის შედეგად. ქრისტიანი დემოკრატი ალდო მორო, რომელსაც კონსულტაციები ჰქონდა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებთან, ოთხშაბათს ეწვია პრეზიდენტ ჯ. ლეონეს და ოფიციალურად აცნობა, რომ თანახმაა შექმნას ახალი მთავრობის კაბინეტი.

მთავრობაში შევლენ ქრისტიანულ-დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები. სოციალისტები და სოციალ-დემოკრატები, რომლებიც წინა კაბინეტში შედიოდნენ, დათანხმდნენ, რომ მხარს დაუჭერენ მას პარლამენტში.

მოელიან, რომ მომდევნო კვირის დამდეგს ა. მორო პრეზიდენტს წარუდგენს ახალი კაბინეტის მინისტრების სიას და გააკეთებს საპროგრამო განცხადებას იტალიის პარლამენტის ორივე პალატაში.

აქ აღნიშნავენ, რომ ქვეყნის ახალი მთავრობის წინაშე დადგება მეტად რთული და ძნელი პრობლემები. უწინარეს ყოვლისა, მან უპირველესი ყურადღება უნდა დაუთმოს მემარჯვენე ძალებისა და რეაქციის ხრიკებისაგან დემოკრატიული წყობილების დაცვის საკითხებს. ქვეყანაში კვლავ სწრაფად მატულობს ფასები, იზრდება უმუშევრობა, მცირდება წარმოება.

იუნესკოს გადაწყვეტილება

პარიზი, 22 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა გენერალური კონფერენციის (იუნესკო) სესიამ, რომელიც აქ მიმდინარეობს, დღეს ხმის დიდი უმრავლესობით უარყო ისრაელის თხოვნა ევროპის რეგიონალურ ჯგუფში მიღების შესახებ. ეს გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ ისრაელს ამიერიდან არ შეუძლია მონაწილეობის მიღება იუნესკოს არც ერთ რეგიონალურ ჯგუფში.

ფოტოობიექტივში მონღოლეთი

ახალ წლამდე ულან-ბატორის კიდევ 1.500 ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას. „წითელი გოლიათი“ — ასე უწოდეს მონღოლებმა თავიანთ დედაქალაქს 1924 წელს რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ. ქვეყნის მთავარი ქალაქი მართლაც რომ გოლიათური ნაბიჯებით მიდის წინ: უკანასკნელ ოც წელიწადში მცხოვრებთა რიცხვი 5-ჯერ გაიზარდა. 600 ათასამდე კვ.მ. ახალი კეთილმოწყობილი ბინა — ასეთია დღევანდელი ულან-ბატორი.

სურათზე: (ზემოთ) მონღოლეთის დედაქალაქის ცენტრი.

• •



სახალხო ხელისუფლების წლებში საგრძნობლად გაიზარდა მონღოლეთის პერიოდული პრესა. ახლა სახელმწიფოში გამოდის 60-ზე მეტი ცენტრალური და პერიფერიული გაზეთი და ჟურნალი, რომელთა საერთო ტირაჟი ერთ მილიონ ეგზემპლარს აღემატება.

სურათზე: მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მთავრობის ორგანოს გაზეთ „უნენის“ სუხე-ბატორის სახელობის სტამბაში. საროტაციო საამქროს უფროსი ოსტატი დ. დეჩინგომბო ამოწმებს „უნენის“ ახალ ნომერს. ამჟამად გაზეთის ტირაჟი 120 ათასი ეგზემპლარია.

ვითარება არგენტინაში

ბუენოს-აირესი, 21 ნოემბერი, (საკდესი). პროფაშისტური დაჯგუფება „არგენტინის ანტიკომუნისტური ალიანსი“ განაგრძობს დანაშაულებრივ გამოხდომებს. როგორც გაზეთები იუწყებიან, ბანდიტებმა ცეცხლი დაუშინეს სამოქალაქო რადიკალური კავშირის პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის რიკარდო ბალბინის ავტომობილს, როცა იგი ბუენოს-აირესიდან ქალაქ ლა-პლატაში მიემგზავრებოდა. უკანასკნელ ხანს ბალბინმა და ამ პარტიის ბევრმა სხვა აქტივისტმა მუქარის წერილები მიიღეს.

ტერორიზმი, რომლის ტალღამ არგენტინას გადაუარა, მოწმობს, რომ პრეზიდენტის დეკრეტით შემოღებულმა საალყო წესებმა ვერ გამოიწვიეს ვითარების ნორმალიზაცია. თითქმის ყოველდღიურად ხდება მკვლელობანი პოლიტიკური მოტივებით. ქალაქ სანტა-ფეში აღმოაჩინეს ორი ახალგაზრდა ადვოკატი ქალის გვამი. ეს ადვოკატები პოლიტიკურ პატიმრებს იცავდნენ. გრძელდება არმიის ოფიცერთა მკვლელობა.

პოლიცია აცხადებს, რომ „ვერ აგნებს“ დამნაშავეთა კვალს. ამავე დროს სახელმწიფო უშიშროების კანონის ნიღბით ეწყობა ჩხრეკა კომპარტიის რეგიონალურ განყოფილებათა, დემოკრატიულ ორგანიზაციათა შენობებში, აპატიმრებენ პროფკავშირული მოძრაობის აქტივისტებს.

გუშინ პოლიციასთან შეტაკების დროს კორდოვაში დახოცეს ოთხი კაცი.

ახალი მთავრობის ფიცი

ათენი, 21 ნოემბერი. (საკდესი). საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კ. კარამანლისმა დღეს მიიღო ქვეყნის ახალი მთავრობის ფიცი. მთავრობაში ძირითადად შევიდნენ პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული პარტიის „ახალი დემოკრატიის“ წარმომადგენლები, რომლის ლიდერია კ. კარამანლისი, აგრეთვე მთელი რიგი სხვა პოლიტიკური მოღვაწენი და სახელმწიფო მოსამსახურენი, რომლებსაც პოსტები ეკავათ კარამანლისის პირველ სამოქალაქო მთავრობაში, რომელიც შეიქმნა ამა წლის 23 ივლისს სამხედრო რეჟიმის დამხობის შემდეგ.

საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია დ. ბიციოსი, პრემიერ-მინისტრის მინისტრად — გ. რალისი, ეროვნული თავდაცვის მინისტრად — ე. აევეროფ-ტოსიცა.

პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტი ვაკანტური დარჩა.

შეხვედრა ლონდონში

ლონდონი, 21 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ კვიპროსის პრეზიდენტი არქიეპისკოპოსი მაკარიოსი შეხვდა კვიპროსის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს გ. კლერიდისს. ამ შეხვედრის მთავარი მიზანია მოემზადონ კვიპროსის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოლაპარაკებისათვის, რომელიც მომავალ კვირაში გაიმართება ათენში საბერძნეთის ახალ მთავრობასთან.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლე ცნობები

ექსპერტების თათბირი

სოფია, 21 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ექსპერტთა თათბირი სოციალისტურ ქვეყნებში ჯანმრთელობის დაცვის განვითარების პერსპექტივების შესახებ. თათბირში მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების წარმომადგენლები.

ჯ. ფორდი სეულში ჩავიდა

ტოკიო, 22 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. ფორდი დღეს ერთი დღის ოფიციალური ვიზიტით სეულში ჩავიდა.

მოწოდება

ჰელსინკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოუწოდა მშვიდობის მებრძოლთა ეროვნულ მოძრაობებს მთელ მსოფლიოში ამა წლის 1-დან 7 დეკემბრამდე მოაწყონ კვიპროსის ხალხთან სოლიდარობის კვირეული. აქ გავრცელებულ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს განცხადებაში აღნიშნულია, კერძოდ, რომ კვიპროსის პრობლემა მოითხოვს სასწრაფო გადაჭრას კვიპროსის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, უცხოეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის, რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევის შეწყვეტის საფუძველზე.

სეიმის სხდომა

ვარშავა, 22 ნოემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის სხდომა. დეპუტატებმა მოისმინეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პ. იაროშევიჩის მოხსენება კვების პროდუქტების წარმოების განვითარების პერსპექტიული კომპლექსური პროგრამის შესახებ. მისი განხორციელებისათვის 1980 წლამდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიღებენ დაახლოებით 750 მილიარდ ზლოტს. უახლოესი ექვსი წლის მანძილზე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება უნდა გაიზარდოს 20 პროცენტით.

ყოველმხრივი განხილვის შემდეგ სეიმმა მოიწონა კვების პროდუქტების წარმოების განვითარების პერსპექტიული კომპლექსური პროგრამა.

ისრაელის პროვოკაციები

ბეირუთი, 22 ნოემბერი. (საკდესი). გრძელდება ისრაელის პროვოკაციები ლიბანის წინააღმდეგ. მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში, იუწყება გაზეთი „ალ-ლივა“, ისრაელის თვითმფრინავები დაბალ სიმაღლეზე დაფრინავდნენ ქალაქების ტირისა და საიდის, აგრეთვე სამხრეთ ლიბანის სხვა დასახლებული პუნქტებისა და პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკების გარშემო.

ისრაელის ვერტმფრენიდან დასახლებული პუნქტის ჰალათ ვარდეს მახლობლად გადმოსხეს სამხედრო დესანტი. აგრესორები რამდენიმე საათის განმავლობაში თარეშობდნენ ლიბანის მიწა-წყალზე.

პალესტინის საინფორმაციო სააგენტო დღეს იუწყება, რომ ისრაელის 10-ზე მეტი სამხედრო ხომალდი და კატარღა შემოიჭრა გუშინ ლიბანის ტერიტორიულ წყლებში ქალაქების ტირისა და საიდის, აგრეთვე ქვეყნის დედაქალაქის — ბეირუთის რაიონში.

ამბები • ფაქტები

ბუენოს-აირესი

ტერორიზმის ტალღა

რომი

ა. მორო ადგენს ახალ მთავრობას

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ამერიკელები მიესალმებიან ვლადივოსტოკში შეხვედრას

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესის კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის მომავალი შეხვედრა ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის განმტკიცებას. ეს განაცხადა ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ჩ. იოსტმა.

საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ჩ. იოსტმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ „თუ კეთილი ნება გამოიჩინეს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შეუძლიათ ახალ დიდმნიშვნელოვან შეთანხმებებს მიაღწიონ საშიში გამალებული შეიარაღების შეჩერების მიზნით.

ჩ. იოსტმა აღნიშნა, რომ ამერიკელთა დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას.

პიტსბურგი, 22 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ამერიკის მშრომელნი მიესალმებიან სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა მომავალ მოლაპარაკებას, გამოთქვამენ რწმენას, რომ ვლადივოსტოკში შეხვედრა ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის შემდგომ თანამშრომლობას, კერძოდ ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური გაცვლის დარგში.

მუშების დიდ უმრავლესობას სურს, რომ ამ შეხვედრამ წარმატებით ჩაიაროს, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს მეტალურგიის მრეწველობის მუშათა გაერთიანებული პროფკავშირის ჟურნალ „სტილ ლეიბორის“ რედაქტორმა რ. პასნიკმა.

საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა, საბჭოთა შეკვეთები, თქვა მან, ამერიკის მშრომელებს აძლევენ ყველაზე მთავარს — სამუშაოს. „ყოველი ნაბიჯი“, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარების გზაზე არსებული დაბრკოლებების ლიკვიდაციას, — ხაზი გაუსვა რ. პასნიკმა — უაღრესად სასარგებლოა“.

რ. პასნიკმა გამოთქვა რწმენა, რომ მოლაპარაკება ვლადივოსტოკში წარმატებით დამთავრდება და სამსახურს გაუწევს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა ინტერესებს.

„სოიუზ-აპოლონი“:

საფრენი ნიმუშების გამოცდა

— **ერთმანეთს** მიუახლოვეთ „სოიუზ“ ხომალდის შეპირაპირების კვანძი და ხომალდ „აპოლონის“ შეპირაპირების აგრეგატი.

ორი მოწყობილობა, რომლებიც უცნაური მოყვანილობის უზარმაზარ მესუმზირებს გვანან, ნელა უახლოვდება ერთმანეთს. კიდევ რამდენიმე წამი და ისმის საკეტების ხმა, რომლებიც მჭიდროდ აერთიანებენ ორ კვანძს და წარმოშობენ შემაერთებელ გვირაბს. 1975 წლის ივლისში სწორედ ამ გვირაბს გაივლიან კოსმოსურ ეკიპაჟთა მეთაურები თომას სტაფორდი და ალექსი ლეონოვი, სანამ პირველად ჩამოართმევდნენ ხელს ერთმანეთს ორბიტაზე.

— ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ ამ პასუხსაგები გამოცდების მიმდინარეობით, — ამბობს ამერიკელ სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი ბობ უაიტი, რომელიც ხომალდ „აპოლონის“ შეპირაპირების აგრეგატს ამზადებს ერთობლივი ფრენისათვის. ჩვენი საუბარი მიმდინარეობს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ ლაბორატორიაში, სადაც უკვე ერთი თვეა წარმოებს მომზადების ერთ-ერთი გადამწყვეტი ეტაპი — შეპირაპირების კვანძების საფრენი ნიმუშების გამოცდა.

— ჩვენი ცდები ჯერ არ დამთავრებულა, — თქვა ბ. უაიტმა. — ერთობლივმა სამუშაო ჯგუფმა უნდა განიხილოს მათი შედეგები და წარუდგინოს მოხსენება პროექტის ტექნიკურ დირექტორებს. მაგრამ მთავარი მიზანი უკვე მიღწეულია: როგორც ჩვენ, ისე საბჭოთა კოლეგებს მტკიცედ გვწამს, რომ სწორია გაანგარიშებანი, საიმედოა ხომალდების შეპირაპირების ყველაზე პასუხსაგები სისტემები. არ დაგიმალავთ, ჩვენი სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი ამაყობს იმით, რომ ახლანდელ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სხვადასხვა ქვეყნის კოსმოსური ხომალდების მსოფლიოში პირველი ერთობლივი ფრენისათვის, არამედ კოსმონავტიკის შემდგომი განვითარებისათვის.

ბობ უაიტმა აღტაცებით მოიხსენია თავისი კოლეგები — საბჭოთა ინჟინრები. ბევრ მათგანთან ერთად, — შენიშნავს იგი, — ჩვენ, როგორც თქვენში ამბობენ, — „ვიფრინეთ“ თითქმის ერთი წელი, 360 სამუშაო დღე. ასეთია ერთობლივი სამუშაო ჯგუფის ჰიუსტონსა და მოსკოვში კვანძების შეპირაპირებისათვის მუშაობის სტაჟი.

— „უმჯობესია ერთხელ ნახო“, — ამ რუსული ანდაზის მთელი სიბრძნე, — ამბობს ამერიკელი ინჟინერი, — ჩვენ ღირსეულად შევაფასეთ საბჭოთა კოლეგებთან, მათ შესანიშნავ ინჟინრულ გადაწყვეტებთან უკვე პირველი შეხვედრების დროს. ყველა ჩემი ჯგუფელი ამხანაგი დიდად აფასებს კოსმონავტიკაში მომუშავე საბჭოთა ინჟინრების პროფესიულ დონეს, ქედს იხრის მათი მეცნიერული და ტექნიკური ჰორიზონტის წინაშე, მოხიბლულია მათი გულუხვობითა და უანგარობით პარტნიორულ და მეგობრულ ურთიერთობაში.

ამ შეფასებას მინდა დავუმატო ჩემი უფროსი კოლეგების, პროექტის უმნიშვნელოვანესი კვანძების გენერალური შემსრულებლის — „როკუელ ინტერნეიშენლის“ ფირმის წარმომადგენლების აზრი, რომლებიც ამ დღეებში ჩვენთან ერთად მუშაობენ მოსკოვში. ყველა მოსამზადებელი გამოცდისა და წვრთნის ზუსტი გრაფიკი, ინჟინრულ იდეათა ზუსტი შეპირაპირება, პროექტის მომზადების მონაწილე სპეციალისტთა ურთიერთგაგება, — აი, მათი აზრით, წარმატების იმ რწმენის მთავარი შემადგენელი ნაწილები, რომელიც მათ დაეუფლა მოსკოვში მუშაობის დროს.

ნ. ჟელეზნოვი,
საკდესის კორ.

სსრ კავშირი — ზამბია:

ურთიერთგაგება, თანამშრომლობა

საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა ზამბიის რესპუბლიკასთან იმდენ ხანს გრძელდება, რამდენსაც არსებობს ეს ახალგაზრდა აფრიკის სახელმწიფო, რომელმაც ამას წინათ ზეიმით იდღესასწაულა თავისი ათი წლისთავი. უკვე რამდენიმე დღის შემდეგ, რაც 1964 წელს ზამბიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჩვენმა ქვეყანამ მასთან დაამყარა ოფიციალური ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად დაედო თანასწორუფლებიანობის ლენინური პრინციპები, ორივე ქვეყნის ინტერესების ერთიანობა იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს იყო ძნელი დრო ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის. მთელი მისი ეკონომიკა, რომლის საფუძველს შეადგენს სამთომომპოვებელი მრეწველობა, უცხოეთის კაპიტალის, სახელდობრ სამხრეთ აფრიკის, ინგლისისა და ამერიკის მონოპოლიების ხელში იყო. მისი მიწის წიაღის სიმდიდრე, უწინარეს ყოვლისა სპილენძი, რომელსაც ეს მონოპოლიები იღებდნენ, მთლიანად გაჰქონდათ საზღვარგარეთ, ხოლო მცირეოდენი შემოსავალი, რომელიც აფრიკის ახალგაზრდა ქვეყნის წილად რჩებოდა, ხმარდებოდა სხვადასხვა საქონლის შესყიდვას, რომელთაგან ბევრის წარმოება სავსებით შეეძლო ზამბიას დამოუკიდებლად. პრაქტიკულად ზამბიის ყველა საექსპორტო-საიმპორტო ტვირთზიდვა, რადგან მას არა ჰქონდა საკუთარი გასასვლელი ოკეანეში, რასისტული როდეზიით ხორციელდებოდა. ხშირი კრიზისები კი, რომლებიც წარმოიშობოდა იან სმიტის რასისტულ რეჟიმთან ზამბიის ურთიერთობაში, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ მის ეკონომიკას.

განვლილ ათწლეულში დიდი წარმატებებია მიღწეული ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში, მისი ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში. ჯერ ერთი, ახალგაზრდა რესპუბლიკამ თავის კონტროლს დაუქვემდებარა თავისი ძირითადი სიმდიდრე — სპილენძი, შეიძინა რა უცხოეთის სამთამადნო კომპანიების აქციების 51 პროცენტი. ქვეყანაში ახლა ადნობენ 700 ათას ტონაზე მეტ სპილენძს წელიწადში. სპილენძის გამოდნობით მას მესამე ადგილი უკავია მსოფლიოში. სპილენძი ზამბიის ექსპორტის 95 პროცენტს შეადგენს.

ბევრი რამ გაკეთდა აგრეთვე როდეზიისაგან ზამბიის ეკონომიკის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. აშენდა ელექტროსადგურები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ქვეყანას უარი თქვას როდეზიიდან ელექტროენერგიის იმპორტზე. გაყვანილია ნავთობსადენი ტანზანიის ნავსადგურ დარ-ეს-სალამამდე, რაც საშუალებას აძლევს ზამბიას თხევადი სათბობი მიიღოს არა როდეზიით, როგორც წინათ, არამედ მეგობარი ტანზანიის მეშვეობით. ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე გაყვანილია აგრეთვე ახალი მოასფალტებული ავტომაგისტრალი, რომელიც ოკეანესთან აკავშირებს ზამბიას. ამ მაგისტრალით ხორციელდება რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ტვირთზიდვის დაახლოებით 50 პროცენტი. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, რათა ქვეყანამ სავსებით დაიკმაყოფილოს თავი საკუთარი სურსათით.

სსრ კავშირისა და ზამბიის ეკონომიური ურთიერთობა ვითარდება ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ დადებული შეთანხმების საფუძველზე. აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკა სსრ კავშირში ყიდულობს მოწყობილობას, ავტომანქანებს, ტრაქტორებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. სანაცვლოდ იგი აწვდის ჩვენს ქვეყანას მაღალხარისხოვან სპილენძსა და თავისი ტრადიციული ექსპორტის სხვა საქონელს. აღმოსავლეთ პროვინციაში საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით აშენდა ოთხი დიზელიანი ელექტროსადგური და მომზადდა ზამბიელი სპეციალისტები მათი მომსახურებისათვის. ხელმოწერილია კონტრაქტი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში კიდევ ექვსი ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი რიგი სასოფლო რაიონების ელექტრიფიკაციას. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში საბჭოთა ინჟინრებმა ააგეს 140 არტეზიული ჭა, რომლებიც წყლით უზრუნველყოფენ ამ გვალვიანი რაიონების 150-ათასიან მოსახლეობას.

ახალგაზრდა რესპუბლიკის განვითარებაში მცირე როლს როდი ასრულებს საბჭოთა კავშირის დახმარება ეროვნული კადრების მომზადებაში. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა, როცა ქვეყანაში ხორციელდება საკუთარი მუშაკებით შეცვლა დასავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსული სპეციალისტებისა, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებული არიან უცხოეთის მონოპოლიებთან და სრულიადაც არ აინტერესებთ ზამბიის ეროვნული ეკონომიკის განვითარება. სსრ კავშირიდან ჩამოსულ მასწავლებელთა ჯგუფი ახლა მუშაობს ზამბიის უნივერსიტეტში და სხვა სასწავლებლებში. საკმაოდ ბევრი ზამბიელი სწავლობს საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ამ შორეულ აფრიკის ქვეყანაში მუშაობენ, ხალისით უზიარებენ თავიანთ გამოცდილებასა და ცოდნას ზამბიის მშრომელებს, ეხმარებიან ახალი სპეციალობის დაუფლებაში.

წარმატებით ვითარდება ორი ქვეყნის კულტურული თანამშრომლობა. მაგალითად, ზამბიას ეწვია საბჭოთა ესტრადის მსახიობთა ჯგუფი, ცირკის მუშაკთა დასი. სსრ კავშირში ნოემბრის დამლევს და დეკემბრის დამდეგს გაიმართება ზამბიის მუსიკალურ-საცეკვაო ანსამბლის გასტროლები. ვითარდება სპორტული კავშირურთიერთობა. ზამბიაში გამოვიდნენ საბჭოთა მოკრივეები და ფეხბურთელები. აქ ინტერესით მოელიან მინსკის „დინამოს“ გუნდს, რომელიც შეხვდება ადგილობრივ ფეხბურთელებს.

ზამბიაში გამოთქვამენ რწმენას, რომ პრეზიდენტ კ. კაუნდას ვიზიტი ახალ ბიძგს მისცემს ჩვენი ორი ქვეყნის თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობის განვითარებას. ეს ვიზიტი, წერს მთავრობის გაზეთი „ზამბია დეილი მეილი“, მოასწავებს საბჭოთა კავშირ-ზამბიის ურთიერთობის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან ეტაპს. იგი არა მარტო განამტკიცებს უკვე არსებულ კარგ ურთიერთობას ორ ქვეყანას შორის, არამედ აგრეთვე საშუალებას მოგვცემს გამოვხატოთ ჩვენი ხალხის გულწრფელი და უღრმესი მადლობა საბჭოთა კავშირისადმი იმ დახმარებისათვის, რომელიც ზამბიას გაუწია. მისი წვლილისათვის აფრიკის სამხრეთის განთავისუფლების საქმეში. ზამბიელებს საბჭოთა ადამიანები მიაჩნიათ თავიანთ ძმებად და თანამებრძოლებად. (საკდესი).

შეტანილია რეზოლუციის პროექტი

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად შეტანილია პროექტი რეზოლუციისა, რომელიც ადასტურებს პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უფლებას.

37 ქვეყნის მიერ წარდგენილი დოკუმენტი მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს დახმარება გაუწიონ პალესტინის არაბ ხალხს ამ სამართლიან ბრძოლაში.

შეტანილია აგრეთვე პროექტი მეორე რეზოლუციისა, რომელიც ურჩევს გენერალურ ასამბლეას მიანიჭოს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუდმივი მეთვალყურის სტატუსი.

ქვეყნები და ტრადიციები

აფრიკული ნიღბების საიდუმლოება

კონგოს სახალხო რესპუბლიკის სამხრეთ პროვინციის ჯუნგლებში ჩაკარგული ერთი პატარა სოფელი ნიარი დღესასწაულისათვის ემზადებოდა. იგი იმართება წელიწადში ერთხელ, როცა მოსავლის აღება მთავრდება და მძიმე გლეხური შრომის ნაყოფი — ყავა და მანიოკი ქოხის გვერდით სპეციალურ საფარქვეშ არის „დაბინავებული“.

დაღამდა თუ არა, ტროპიკულ სიბნელეში ცეცხლის ენები აბრიალდნენ. დაიწყო თავისი მრავალფეროვნებით უჩვეულო და თვალისმომჭრელი, საიდუმლოებით მოცული სანახაობა. ელვარებულ კოცონთა გარშემო რიტმულად აცეკვდნენ „ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული“ აფრიკელები. მოზეიმენი განსაკუთრებული დაძაბულობით შეჰყურებენ ერთ-ერთ მოცეკვავეს, რომელსაც ყველასაგან გამორჩეული ნიღაბი აქვს ჩამოცმული. იგი განასახიერებს მითიურ არსებას ნკოლას — ტომის მფარველს...

აფრიკის ხალხების ხელოვნებაში სარიტუალო ნიღბებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. როგორც საჰარის კლდეებზე აღმოჩენილი ნახატები მოწმობენ, ნიღბებს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყენებდნენ. ისინი აუცილებელი ატრიბუტია სასოფლო-სამეურნეო დღესასწაულების, სამგლოვიარო ადათ-წესების შესრულებისა და მსხვერპლშეწირვისას.

ნიღბები განასახიერებენ ბოროტ და კეთილ ღმერთებს, წინაპართა სულებს, აგრეთვე ბუნების ყოვლისშემძლე ძალებს, რომლების დამორჩილებაც სურს ადამიანს. ისინი წარმოუდგენელია ნაირფერი აფრიკული კოსტიუმების, ჩირაღდნებისა და კოცონების, საზეიმო ვითარების გარეშე. ნიღბები განუყოფელი ნაწილია ქორეოგრაფიული ანსამბლებისა, რომელთა გამოსვლას თან ახლავს რიტმული მუსიკა, სიმღერა, მითიური პოემების კითხვა. ნიღბის ტარების უფლება მარტო მამაკაცებს აქვთ. არის ტომები, სადაც ქალებს ისიც კი აკრძალული აქვთ, რომ ნიღბებს შეხედონ.

დაკრძალვის ცერემონიების, მინდვრის სამუშაოების დაწყების ან დამთავრების დროს ნიღბების გამოყენებას გარკვეული მიზანი აქვს: თანატომელთა მეხსიერებაში გარდასახვის ფორმით აღადგინონ მოვლენები, რომლებიც განუყოფელია თემის ყოველდღიური ცხოვრებისაგან, ხაზი გაუსვან ამ მოვლენათა მნიშვნელობას სოფლის ცხოვრებაში.

სულ სხვა როლს ასრულებენ ნიღბები ჭაბუკის მამაკაცად ზიარების ადათ-წესის შესრულებისას. ეს ადათ-წესი სავალდებულოა აფრიკის თითქმის ყველა ხალხისათვის. ჭაბუკებმა იმისათვის, რომ დაამტკიცონ თავიანთი ფიზიკური და მორალური სიმწიფე, უნდა ჩააბარონ მთელი რიგი, ზოგჯერ მეტად ძნელი და რთული გამოცდები. ცერემონია სრულდება გარკვეულ ადგილას, უცხო თვალთაგან მალულად. ტომის ბელადი ან ქურუმი ცერემონიაზე ცხადდება ნიღბით. ჭაბუკის თვალწინ წარმოდგება მთელი თავისი საიდუმლო სახიერებით ყოვლისშემძლე ღვთაება, რომელიც რჩევა-დარიგებას აძლევს ჭაბუკებს, როგორც უკვე სრულუფლებიან მამაკაცებს, მათი ახალი ცხოვრების გზაზე.

არც თუ იშვიათად ნიღბებს იყენებენ ტომის „დასაცავად“ ბოროტი სულებისა და ჯადოქრებისაგან. ეს მოტივები შეიმჩნევა იმ ე. წ. „საიდუმლო კავშირების“, რელიგიური სექტების საქმიანობაში, რომლებიც ხშირად თანატომელების ცრურწმენებს ანგარების მიზნით, თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ იყენებენ.

თითქმის ჩვენს დრომდე ევროპელებმა ბევრი არაფერი იცოდნენ აფრიკული ხელოვნების შესახებ. როგორც კი გაეცნენ მას, გაოცებული და მოხიბლული დარჩნენ მისი მრავალფეროვნებითა და ორიგინალობით. აფრიკის კონტინენტის ხალხთა ხელოვნება მათთვის სრულიად ახალი ესთეტიკური სამყაროს აღმოჩენა იყო. და ამ ხელოვნების შემადგენელი ნაწილი იყო ნიღბები, რომლებიც მნახველს აოცებდნენ ფორმების სიმრავლით, ხაზებისა და ფერების ჰარმონიულობით, სახეთა არაჩვეულებრივი გამომსახველობით. სწორედ ნიღბებში აისახა აფრიკელ ხალხურ ოსტატთა მიერ სამყაროს მხატვრული აღქმის თავისებურება.

ნიღბების დამზადების განსაკუთრებით მაღალი ოსტატობით სახელი გაითქვეს ფანგის (გაბონი), სენუფოს (სპილოს ძვლის ნაპირი), ბასონგესა და ლუბას (ზაირი) და დაგონის (მალი) ტომებმა, მათი ხელებით იქმნება აფრიკული ხელოვნების ნამდვილი შედევრები.

ჩვენს დროში აფრიკის ხელოვნების განუმეორებელ სამყაროში თანდათან ფეხს იკიდებს დასავლეთის გამხრწნელი გავლენა, რომელიც ამახინჯებს მის თვითმყოფობას. ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ აფრიკელი ოსტატების უბადლო მხატვრული მანერის გადაგვარების რეალურ საშიშროებას. ამას მოწმობს იმ კუსტარული და ყალბი ნიღბების სიმრავლე აფრიკის ქვეყნების სუვენირების ბაზარზე, რომლებსაც ხელოვნებაში გაუთვითცნობიერებელი ტურისტებისათვის ამზადებენ.

ახალი ამბების სააგენტოს მასალებიდან.

„ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე

დასაგმობი დავგმოთ

კაცმა ჭირი მალა, და ჭირმა თავი არ დამალაო

ძველი, დრომოჭმული, ხელისშემშლელი ტვირთის მოუშორებლად ნამდვილად ძნელია ცხოვრების დიდ გზაზე წინ სიარული. აი რატომ არის, რომ ჩვენი საზოგადოება დღეს, როგორც იტყვიან, ხმალამოწვდილი უტევს ყოველგვარ სიმახინჯეს, რაც გვაფერხებს და გვაბრკოლებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ XIV პლენუმზე მთელი სიმკაცრითა და პრინციპულობით ილაპარაკეს ამ უხამს ჩვევებსა და წარსულის მავნე გადმონაშთებზე. პარტიამ ერთხელ კიდევ ხმამაღლა მოუწოდა მთელ ჩვენს ხალხს, გმირ მუშათა კლასს, გამრჯე კოლმეურნე გლეხობასა და სახელოვან ინტელიგენციას ულმობელი ბრძოლა გამოუცხადონ ყოველგვარ მავნე ტრადიციას, რაც კი ხელს გვიშლის ახალი დიდი საქმეების გადაწყვეტაში, სახელს გვიტეხს და ცხოვრებას გვიმხამავს.

სწორედ ამ ულმობელი ბრძოლის სულისკვეთებით გამოირჩევა გაზეთ **„ლიტერატურული საქართველოს"** გუშინდელი 22 ნოემბრის ნომერი.

შეუძლებელია მკითხველმა აუღელვებლად წაიკითხოს გაზეთის ვრცელი მოწინავე წერილი **„ტრადიცია..."** და მწერალ **გიორგი ნატროშვილის** პუბლიცისტური შენიშვნები **„მიჯნა კეთილსა და ბოროტს შორის"**.

„შესანიშნავი ტრადიციების გვერდით, რაც ხალხის მაღალი სულიერი ცხოვრების სარკეს წარმოადგენს და მის შემდგომ განსპეტაკებასა და გაკეთილშობილებას უწყობს ხელს, — ნათქვამია მოწინავე წერილში, — გვხვდება იმავე ხალხის სულიერი და ყოფითი კულტურისათვის სავსებით შეუფერებელი ტრადიციები, რასაც ჩვენ, ამ სიტყვის დიდი პატივისცემით (ესეც დამახასიათებელია!), ტრადიციას არც ვუწოდებთ, — გადმონაშთს ვეძახით. ძველი დროის გადმონაშთს, ესე იგი, ისეთ მოვლენას, რაც გარკვეული საზოგადოებრივი ფორმაციის დროს ხალხს (ან ხალხის გარკვეულ ფენას) მიუღია, შეუთვისებია და ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის დროს კი ველარ მოუშორებია, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა ხალხის სულიერი ცხოვრების მაგისტრალურ გზას ვერაფრით ვერ უთავსებდა და მასთან წინააღმდეგობაშია.

აქ არაჩვეულებრივი არაფერი არ არის. ყველა ხალხის სულიერ ცხოვრებაში ხდება ასეთი ჭიდილი კარგსა და დრომოჭმულს, დასაგმობს შორის. არც საშიშია რამე. სწორედ ასეთ ჭიდილში ხდება ადამიანის სულიერი განსპეტაკება. ოღონდ დროული და გონივრული ბრძოლაა საჭირო დრომოჭმულისა და მანკიერი მოვლენის წინააღმდეგ".

გაზეთი სწორედ იშველიებს ბრძნულ ქართულ ანდაზას, კაცმა ჭირი მალა, და ჭირმა თავი არ დამალაო, და სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ხშირად გვავიწყდება ამ ანდაზის სიბრძნე და თავს ვიტყუებთ, გვგონია, ჩვენ თუ დავდუმდით, სხვისი თვალისთვისაც დაიფარება ჩვენი ჭირი. ასეთი თავის მოტყუებისა და ნაკლოვანებათა მიჩქმალვის, ბრძოლის გაუმართლებელი მოდუნების გამო მოგვიმრავლდაო, წერს გაზეთი, ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად შეუფერებელი მავნე ჩვევები, რაც ჩვენი ხალხის მაღალ სულიერ კულტურასა და ყოფის კულტურას სულაც არ ეკადრება და რასაც ჩვენ წარსულის გადმონაშთებს ვეძახით.

ამ სამარცხვინო გადმონაშთებსა და ჩვევებს შორის გაზეთი მართებულად გმობს, სამწუხაროდ ჩვენში ჯერ კიდევ შემორჩენილ კუთხურობას, პარტიკულარიზმს, ეგოიზმს, ამბიციას, პატივმოყვარეობას, მექრთამეობას, პროტექციონიზმს, ბიუროკრატიზმს, კუთვნილი აქვთ აგრეთვე მიზღული საკუთარი თავის დაუმსახურებლად განდიდების დაუცხრომელ მზრუნველთ, ცილისმწამებლებს, დემაგოგებსა და ინტრიგანებს, რომლებიც ინერციით კვლავ განაგრძობენ ანონიმური წერილებისა და დაუსაბუთებელი საჩივრების თხზვას და, თავად უქნარები და კარიერისტები, პატიოსან შრომას გადაჩვეულნი, სხვას უშლიან ხელს მუშაობაში. გაზეთი აკრიტიკებს წრეგადასულ ქელეხებსა და ქორწილებს, რაც მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს საზოგადოებას, და წერს: „არც მიცვალებულის დაკრძალვა-დატირების საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღეს სულ სხვადასხვაგვარი, ხშირად მახინჯი ფორმებით გავრცელებული წესი ყოფილა ჩვენებური გლოვის ტრადიცია; არც სასაფლაოების უგემოვნო ფუფუნებით მოწყობის დღევანდელი წესი, რაც სასაფლაოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისთვის დამახასიათებელ სევდიან განწყობილებას უკარგავს, და ახლა, გვერდით რომ ჩაუვლი, უსიამოვნო აღშფოთება უფრო დაგეუფლება.

არც ის უცნაური მოვლენა, როცა საქორწინო სახლიდან გამოსული „მაყრიონი" უგემოვნოდ მორთულ, სულელურად თვალებდაჭყეტილი თოჯინებით შემკულ მანქანების ქარავანს ყურისწამღები ჭყვიტინით დააქროლებს ქალაქის ქუჩებში და ადამიანური ცხოვრების ამ უნაზესსა და ულამაზეს წუთებს ასეთი უხამსი „რიტუალით" ბღალავს".

ცხადია, ყოველივე ეს არასგზით არ უთავსდება არც ჩვენი საზოგადოების მაღალ სულიერ დონეს, არც წინაპართაგან გადმოცემულ ჯანსაღ ტრადიციებს, არც ქართველი ხალხის დიდ სულიერ და ყოფითს კულტურას, და ყველა პატიოსანი ადამიანი უთუოდ ეთანხმება გაზეთის იმ აზრს, რომ, თუ ჩვენმა მწერლობამ, ჩვენმა ხელოვნებამ თავისი ფართო და ამოუწურავი შესაძლებლობებით ახლავე არ გამოუცხადა სასტიკი ომი ყოველგვარ სისაძაგლეს, ბევრი, თითქოსდა უწყინარი მანკიერება გაიზრდება და ყელში წაგვიჭერს, პროვინციალიზმის ჭაობში დაგვახრჩობს.

გაზეთის ფურცლებზე სწორად არის აღნიშნული, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დროული და მკაცრი დადგენილება მიიღო ისეთი მართლაცდა მავნე და სამარცხვინო გადმონაშთის წინააღმდეგ, როგორიც პროტექციონიზმია, ჩვენ კი ამ დადგენილების შემდეგაც ვერ გავშალეთ სათანადო ბრძოლა მის წინააღმდეგ.

სწორედ ჩვენში ფეხმოკიდებულ ამ მავნე სენის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსით არის გამსჭვალული მწერლის **გიორგი ნატროშვილის** წერილი, რომელიც გუშინ „ლიტერატურულმა საქართველომ" გამოაქვეყნა.

„ჩამოვთვალოთ, რა ზიანი მოიტანა პროტექციონიზმმა? დავასახელოთ ფაქტები? — წერს გ. ნატროშვილი, — გავიხსენოთ, რამდენი ჭაბუკი და ქალიშვილი ატირეს სამედიცინო ინსტიტუტში, როცა მათ ხუთიანები ეკუთვნოდათ, ხოლო მისაღები გამოცდების დროს ორიანებს უწერდნენ, ცხოვრების გზას უმრუდებდნენ, უნერგავდნენ რწმენას, რომ უსამართლობა, განუკითხაობა დასაშვები და შესაძლებელია, ხოლო სკოლაში, კომკავშირში, პიონერთა რაზმეულებში ჩვენ მათ ვასწავლიდით, რომ ეს არ შეიძლება მოხდეს. გულბახიანები ერთი ხელის დაკვრით აუქმებდნენ ამ რწმენას, ამ სიხარულს, ამ უფლებას, ამ სიამაყეს თავისი სამშობლოთი. ყველამ იცოდა, რომ არსებობდა, რაღაც გრძელი სიები, შედგენილი წინასწარ, მისაღებ გამოცდებამდე, და ეს მისაღები გამოცდები იყო რაღაც უხეიროდ დადგმული სპექტაკლი, დადგმული ხალხის თვალის ასახვევად...

არა, ეს არავისათვის საიდუმლო აღარ იყო, ამიტომ ამ ამბების დაწვრილებით ჩამოთვლა აქ საჭირო არ არის. მაგრამ იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ზიანს აყენებდა რესპუბლიკას პროტექციონიზმი, აქ ერთ ფაქტს მაინც გავიხსენებთ.

პროტექციონიზმს, სადაც კი გაჩნდებოდა, ყველგან ანარქია და უთავბოლობა შეჰქონდა. ყოვლად უცნაური ამბები ხდებოდა ერთ დიდ ტრესტში, რომელიც ჩვენი ეკონომიკის საკმაოდ მნიშვნელოვან უბანს განაგებს. ამ სისტემაში 313 ნომენკლატურული მუშაკიდან 120 კაცზე მეტს არა ჰქონდა შესაფერი სპეციალური საშუალო ან უმაღლესი განათლება. და ეს იმ დროს, როცა ამ დარგის 280 სპეციალისტი უმაღლესი განათლებით გამწესებული იყო მუშებად — დაათრევდნენ აქეთ-იქით კასრებსა და ყუთებს, ტვირთავდნენ და ცლიდნენ მანქანებს, ერთი სიტყვით, აკეთებდნენ ყველაფერს, რის გასაკეთებლადაც არც ინსტიტუტია საჭირო და არც საშუალო სკოლა. ხოლო ისინი, ვისაც ინსტიტუტი თვალითაც არ ენახა, ისხდნენ ლაბორატორიებში და ღრმააზროვნად მსჯელობდნენ მსოფლიო ეკონომიკის პრობლემებზე. იქ, იმ სისტემაში, ქარხნის დირექტორად ინჟინრის ნაცვლად პედაგოგი მუშაობდა, ტექნიკური კონტროლის უფროსად — ჩაის სპეციალისტი (თუმცა ქარხნის პროდუქციას ჩაისთან არაფერი საერთო არა ჰქონდა), უფროს საქონელმცოდნედ — ინგლისური ენის მასწავლებელი და ა. შ."

მაგრამ, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული წერილში, პროტექციონიზმი მარტო ეკონომიკის ზარალი როდია! მთავარი ის არის, რომ ის ამახინჯებს ადამიანებს სულიერად, ხრწნის მათ, უნერგავს ცინიზმისა და ნიჰილიზმის გრძნობებს, უკარგავს ადამიანს ადამიანის სახეს.

„ლიტერატურული საქართველოს" გუშინდელი ნომრის მებრძოლი სიტყვა ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ ბევრის გაკეთება შეუძლია ჩვენს სალიტერატურო პრესას ყოველივე ცუდისა და ბნელის დასაგმობად, აგრეთვე ძველთან და დრომოჭმულთან ბრძოლაში ყოველივე ახლის გასამარჯვებლად.

დიდი სამამულო ომის დამთავრების 30-ე წლისთავისათვის

შინმოუსვლელის ბედი

მეომრის ცხედარი ზემო მაჩხაანში გადმოასვენეს

ოცდათოთხმეტი წლის წინათ ზემომაჩხაანელი ჭაბუკი ივანე ყოჩიაშვილი ცოლ-შვილს გამოეთხოვა, ჭიშკრის კარი გამოიხურა და თავისთვის მწარედ ჩაილაპარაკა: „ვინ იცის, კიდევ ვნახავ აქაურობას"...

ორმოც წელს მიღწეული, ჯანღონით სავსე ვაჟკაცი იმ გზით წავიდა, რომელსაც ამ სოფლიდან გასული 862 კაცი დაადგა. სოფელში ვანოს ბევრი ვერ სჯობნიდა, მეცხოველეობის ფერმას ვაჟკაცურად ედგა სათავეში. ფრონტი კი სულ სხვა რამ ყოფილა!... შიმშილი, სიცივე, სიკვდილის განსაცდელი... მაგრამ ფრონტზე ბრძოლების სიმწარე, გაჭირვება მას არავისთვის შეუჩივლია. ვანოს წუწუნი აბა ვის გაუგონია; მეუღლესაც სულ იმას სწერდა, „ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, ომი მალე დამთავრდება, ფაშისტები ქუდმოგლეჯილი გარბიან, ცოტა კიდევ გაიჭირვე და მეც მალე მოგეშველებიო".

...მაგრამ ვანო ისე „დაუბრუნდა" თავის სახლ-კარს, როგორც 476 ზემომაჩხაანელი ჭაბუკი. სამუდამოდ გაქრა მათი პირშიშველა, სიცოცხლით სავსე სახეები. მაგრამ, არა! სოფელი არ დაივიწყებს მათ. აკი არც დაივიწყა — შინმოუსვლელთა ობელისკით უკვდავყო მათი სახელები. იქვე გაშენებულ პარკში კი იმდენი ხე დაირგო, რამდენი ჭაბუკიც ამ სოფლიდან სამამულო ომის ფრონტზე დაეცა.

...იქ იხილავთ ვანოს სახეს, სახელსა და გვარს. მაგრამ, ვინ იცის დაეცა? იქნებ ცოცხალია — ეს აზრი დღენიადაგ უტრიალებდა შინმოუსვლელის დედას, მეუღლეს, შვილებს.

ამ ცოტა ხნის წინათ სოფელში ხმა დაირხა, ვანო ყოჩიაშვილი იპოვნესო. მკვდარი თუ ცოცხალი, სად, როგორ, ვინა ნახა, ვინა თქვა... ეკითხებოდნენ სოფელში ერთი მეორეს. ვანოს ოჯახმა კი ყოველივე დაწვრილებით იცოდა იმ წერილით, რომელიც ქ. სოხუმის მეცხრამეტე საშუალო სკოლის მერვეკლასელმა მოსწავლეებმა მოსწერეს.

ეს ამბავი ასე მოხდა: კომკავშირელთა ერთი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ თ. სურგულაძე, გ. გოგიჩაიშვილი, ქ. ქარჩხალია, ა. კუსი, ზ. კოკაია, ლ. იმპოლსკაია, ნ. გეგეჭკორი, ლ. დუმბაძე, მ. გუბაზი, მასწავლებელი ი. უსტაბაშიძე ერთ დღეს, დილაადრიანად სოხუმიდან ოთხმოცდაათი კილომეტრით მდებარე სანჩარის უღელტეხილის დაპყრობას შეუდგნენ.

— მისი გადალახვა გაცილებით ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა — თქვა ჯგუფის ხელმძღვანელმა ი. უსტაბაშიძემ.

უღელტეხილი დაიპყრეს. კომკავშირელებმა შინმოუსვლელთა სისხლიან ნაკვალევზე თვითნაკეთი ობელისკი აღმართეს.

როგორც ყოველთვის, მოუსვენარი თამაზ სურგულაძე თვითეულ ქვასა და ბუჩქს აბრუნებდა, ნაპოვნ ძვალსა და რკინას ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა.

აი, მას ხელში აქვს გალილი ვაზნა. ვაზნაში რაღაც ქაღალდია.

— წერილი, ჯარისკაცის წერილი, ამხანაგებო! — იყვირა თამაზმა და ყველანი მასთან გაჩნდნენ.

ვიწრო ლენტისებურ ქაღალდზე რუსულად ეწერა; „წითელწყაროს რაიონი, სოფელი ზემო მაჩხაანი, ივანე ქიტესას-ძე ყოჩიაშვილი".

პირველ დაღუპული ადამიანის ჩონჩხის გვერდით შაშხანაც იპოვნეს. ყველაფერი გაირკვა. აქ, ამ პიტალო კლდეებზე, ზამთრის ქარბუქსა და ტყვიის წვიმაში განუტევა სული კომუნისტმა ჯარისკაცმა, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ივანე ყოჩიაშვილმა.

„წითელი კვალის მაძიებელ" კომკავშირელთა ჯგუფმა ნაპოვნი საგანგებოდ დამზადებულ ყუთში მოათავსა და ამ დღეებში ოჯახს ეწვივნენ სოფელ ზემო მაჩხაანში.

ივანე ყოჩიაშვილის ოჯახის გლოვა მთელმა სოფელმა გაიზიარა. შინმოუსვლელთა ობელისკთან სახელდახელო მიტინგიც გაიმართა. აქ ილაპარაკეს ვანოს კაცურკაცობაზე, სოფელში, ფრონტზე მის დამსახურებაზე. შინმოუსვლელის ძვლები მის სახელზე დარგული ხის ძირას მიწას მიაბარეს. ყველამ ცხარედ დაიტირა შინმოუსვლელი.

შენი სურვილიც ხომ ეგ იყო, ვანო, შენი ძვლები შენი მამა-პაპის გვერდით ჩაფლულიყო.

მიიღე, მიწავ, შენი შვილის გათოშილი ძვლები, გაათბე და უპატრონე.

— მადლობა თქვენ — „წითელი კვალის მაძიებლო" კომკავშირელებო, მამაჩემის დაბრუნებისათვის — მხოლოდ ერთხელ ეს წაილუღლუღა შინმოუსვლელის შვილმა, კომუნისტმა მექანიზატორმა ბიჭიკო ყოჩიაშვილმა.

ვლ. მჭედლიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

* * *

სურათზე: მარცხნივ — შინმოუსვლელი ჯარისკაცის შვილი ბ. ყოჩიაშვილი ესაუბრება სოხუმელ კომკავშირელ თამაზ სურგულაძეს.

ქალაქის ჩირაღდნები

ქალაქების შუქგაფორმების საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკურ თათბირზე

◆

როგორც კი დღე მიილევა, ბინდი შემოიჭრება და აციმციმებული ელექტრონათურები ციცინათელებივით მოედებიან ქალაქს, მაშინ იგი ახალ ცხოვრებას იწყებს.

იყოს ქალაქი ღამითაც მიმზიდველი, ჩანდეს მისი თვითმყოფადი ხუროთმოძღვრება, არქიტექტურული სტილი, შეიქმნას თანამედროვე ქალაქის ღამის პანორამა და ელექტროშუქის საშუალებით გამოჩნდეს მისი თავისებურებანი ძირითად არქიტექტურულ ელემენტთა შეხამების ჩვენებით, — ეს საკმაოდ რთული საქმეა.

ქალაქთა შუქგაფორმება გულისხმობს ქუჩების უტილიტარულ განათებას, არქიტექტურულ-დეკორაციულ და სარეკლამო განათებას. უტილიტარული განათება, რომელიც ხელს უწყობს ღამის საათებში ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტის უსაშიშო მოძრაობას, მკაცრად რეგლამენტირებულ ნორმებს არ სცილდება. მაგრამ სულ სხვაა არქიტექტურულ-დეკორაციული განათება. იგი შუქისა და ქალაქმშენებლობის სინთეზია და უსაზღვრო შესაძლებლობა აქვს, რათა ქალაქს თავისებური და საინტერესო სახე მისცეს.

დღეს საბჭოთა სპეციალისტებს საკმაო გამოცდილება აქვთ შუქგაფორმების დაპროექტების, დანადგართა მონტაჟისა და ექსპლოატაციის საქმეში. არქიტექტურულ-მხატვრული განათების მდიდარ შესაძლებლობათა გამოყენებით, ახალი სახე მიიღო მოსკოვმა, ლენინგრადმა, კიევმა, თბილისმა, ერევანმა და ზოგიერთმა სხვა ქალაქმა. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ჩვენი სპეციალისტების გამოცდილება საფუძვლად უნდა დაედოს ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის შემდგომ სწრაფ განვითარებას. სწორედ შუქგაფორმების პრობლემებს მიეძღვნა საკავშირო სამეცნიერო თათბირი, რომელიც ამ დღეებში თბილისში გაიმართა.

თათბირი მოაწყეს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული ცნობილი მეცნიერები, შუქტექნიკოსები, არქიტექტორები. მოწვეული იყვნენ აგრეთვე სპეციალისტები პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და უნგრეთიდან.

თათბირის მიზანი იყო შუქგანათების დაპროექტების, დანადგართა მონტაჟისა და ექსპლოატაციის დარგში გამოცდილების ურთიერთგაზიარება, თეორიული საკითხების განხილვა. თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს მოხსენებები ხელოვნური განათების მდიდარ ესთეტიკურ შესაძლებლობებზე, არქიტექტორთა და შუქტექნიკოსთა ურთიერთკავშირის მნიშვნელობაზე, უტილიტარული განათლების როლისა და მნიშვნელობაზე, ფერთა გამოყენებაზე, ვიტრინების განათებაზე, როგორც შუქგაფორმების ერთ-ერთ საყურადღებო ელემენტზე, სხვადასხვა ქალაქის გაფორმების პრაქტიკასა და პერსპექტივებზე.

რ. მუხიგულაშვილი.

ძმობის, მშვიდობის ქუჩა

ეს ქუჩა იწყება კარპატების იქითა უკრაინაში, გაივლის რამდენიმე ქალაქს და უჟგოროდის დასავლეთით, ქალაქიდან ორი-სამი კილომეტრის დაშორებით გადადის ჩეხოსლოვაკიაში. იქაც, სლოვაკების ქვეყანაში რამდენიმე ქალაქს გაივლის, გადასერავს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გაწოლილ ჩვენს მეზობელ ქვეყანას და პრაღაში შევა. ამ ქუჩას მშვიდობის სახელი ჰქვია.

უჟის ქალაქი, ანუ უჟგოროდი სამხრეთ-დასავლეთის უკიდურესი ქალაქია საბჭოთა კავშირში. იქის იქით კი ჩეხოსლოვაკია იწყება. ამაღლებულ ადგილზე დგას ძეგლი, რომელიც გამოხატავს გამათავისუფლებელს. მებრძოლი მაღალ საფეხურებზე ადის, მარცხენა ხელში დროშა უჭირავს, მარჯვენაში კი შაშხანა. ძეგლს აწერია — „უკრაინავიზვოლიტელიამ", ე. ი. „უკრაინის — გამათავისუფლებლებს".

ამ რამდენიმე ხნის წინ ვიყავი აქ. ოქტომბერი ილეოდა. ოქტომბრის დასასრული კი კარპატების იქითა უკრაინაში გათავისუფლების პერიოდია. სოფელი ლოხოვო მტრისაგან ჩვენ ჯარებს 26 ოქტომბერს გაუწმენდიათ და იმ დღეს აქაური სკოლის მოწაფეები, მასწავლებლები და სოფლის ადმინისტრაცია მიტინგზე იყვნენ იმ ძეგლთან, სადაც დასაფლავებულნი არიან მტერთან ბრძოლაში დაღუპული სოფლელები. იქ, ყოველ სოფელში და ყოველი გზის გასაყარზე საძმო სასაფლაოები და მემორიული ძეგლებია. ყველგან ბრძოლა ყოფილა და ყველგან დაღუპულან მებრძოლები.

უჟგოროდში არის ერთი ადგილი, ამაღლებულია იგი, ქალაქს გადმოსცქერის. მისთვის დიდების მთა დაურქმევიათ. ამ დიდების მთაზე არიან დასაფლავებულნი უჟგოროდის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულნი. ყველგან ქართველებს ვეძებდი. უჟგოროდის დიდების მაღლობზე, ძმათა სასაფლაოზე ბევრი მებრძოლი განისვენებს. ამ მაღლობზე სამი ქართველის გვარი წავიკითხე — ვარლამ ამბაკოს-ძე აბესაძე, ირაკლი დავითის-ძე სინჯარაძე და ჰასან ბაბედოს-ძე ჯაფარიძე. ჩვენი ქვეყნის ამ უკიდურეს მიწაზე, სასაზღვრო ქალაქის დიდების მაღლობზე განისვენებენ ეს სახელმერჩენილი ქართველები... ვინ იცის, უსახელოდ რამდენი წევს მათ გვერდით...

იქ წესად ჰქონიათ: ოცდათერთმეტი ოქტომბერი გარდაცვლილთა მოსახსენებელი დღე ყოფილა. ყოველ საფლავზე იმ დღის საღამოსათვის აუცილებლად უნდა იდოს გვირგვინი. როცა ცას ბინდი ჰკრავს, საფლავებზე დაანთებენ სანთლებს. სასაფლაო ზღაპრულ იერს იღებს თურმე. იქ მყოფნი დუმილით უცქერენ სანთლებს. ციმციმებენ სანთლები და იღვენთებიან ცრემლებად.

ქართველ გმირებსაც დააწყობდნენ გვირგვინებს და დაუნთებდნენ სანთლებს, ისინი ხომ მათი ქვეყნის გათავისუფლებას შეეწირნენ.

იქაური გაზეთების ამონაჭრები გადმომცეს. წერილების სათაურებია: „გმირის ოჯახი ნაპოვნია", „თბილისში — ჯარისკაცის მამას", „უშიშარი არტილერისტი — საქართველოს შვილი".

ეს უშიშარი არტილერისტი ყოფილა თბილისელი ბორის აბესალომის-ძე წულუკიძე. 1944 წლის 16 აპრილს სოფელ ნადვორნაიაში მას ჰიტლერელთა ტანკი, აგრეთვე ავტოტრანსპორტერი, ჯარისკაცებით სავსე მანქანა გაუნადგურებია, ორასამდე მტერი მოუსპია. ის თავისი რაზმით პირველი შეჭრილა ქალაქ მუკაჩევოში, მოუსპია 75 ქვემეხი და მათი მომსახურენი, ხუთი ტყვიამფრქვევი და ერთ ბატალიონამდე მტერი გაუნადგურებია, 150 კაცი ტყვედ ჩაუგდია. წერილის ავტორი ნ. ხომენკო გვაცნობებს, რომ წითელი დროშის ორი ორდენის, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენის კავალერს — ბორის წულუკიძეს საბჭოთა კავშირის გმირის სახელი მიეკუთვნა.

უჟგოროდის სასაფლაოზე დასაფლავებული ვარლამ აბესაძე თუშიდან (თერჯოლის რაიონი) ყოფილა. წერილის ავტორი ფ. დუდა წერს: უჟგოროდის პიონერთა სასახლის წევრებს უპოვნიათ ვარლამ აბესაძის სოფელი, დაღუპულის მეუღლე და შვილები და მათთან მიწერ-მოწერა ჰქონიათ, უჟგოროდელებს თუშელები დაუპატიჟიათ გმირის საფლავის სანახავად.

ირაკლი სინჯარაძის საფლავიდან აღებული მიწა და წერილი ვასილ პოლიშჩუკს თბილისში ჩამოუტანია და გადაუცია კინოფილმის „ჯარისკაცის მამას" მთავარი როლის შემსრულებლისათვის — სერგო ზაქარიაძისათვის. მაშინ არ იყო ცნობილი, იყო თუ არა სადმე უჟგოროდის გათავისუფლებისათვის დაღუპული სინჯარაძის ნათესავი. ამის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ირაკლი სინჯარაძე ანანურელი ყოფილა. მის სოფელში დგას აქედან წასული კაცის ძეგლი, რომელშიც ანანურელებს შეუნახიათ გმირის საფლავიდან ჩამოტანილი იმიერკარპატის მიწა.

ჰასან ჯაფარიძის შესახებ კი იქაურ პრესაში არა დაწერილა რა.

კარპატებს იქითა უკრაინაში ორი ქალაქია: უჟგოროდი და მუკაჩევო. ორივე ქალაქში დგას ძველისძველი ციხე-დარბაზები. მუკაჩევოს ციხე ძველი ევროპის სავაჭრო გზების შესაყარზეა. უნგრეთის მეფეს სიგიზმუნდს თევდორე კარიატიჩოვისათვის უბოძებია მუკაჩევო (1396 წ.). ციხე-დარბაზი რამდენიმე მფლობელის ხელში ყოფილა, ხშირად საპატიმროდაც გამოუყენებიათ. მისი მფლობელი ერთხანს ავსტრიის დედოფალი მარია ტერეზიაც, უნგრელი თავადი ფერენც რაკოციც ყოფილან. მის კაზემატებში მჯდარა ალექსანდრე იპსილანტი, ბერძნების ეროვნული გათავისუფლების გმირი XVIII საუკუნის ბოლოს. ვენის დაპყრობისა და უნგრეთში შესვლის შემდეგ ნაპოლეონს უნგრეთის მეფის გვირგვინი და ინსიგნიები ამ ციხე-დარბაზში ჰქონია შენახული. მუზეუმში დაცულია ცნობა, რომ 1847 წელს ამ ციხე-დარბაზში ყოფილა შანდორ პეტეფი.

კარპატებს იქითა უკრაინაში უზარმაზარი ვენახებია, სხვადასხვა ჯიშის ვაზი. ზოგიერთ იქაურ ღვინოს ოქროს მედალი თბილისის კონგრესზე მიუღია. მშვენიერი ჯიშის ვაშლი და კომში იზრდება იმ ქვეყანაში.

ქალაქი მუკაჩევო გაშენებულია მდინარე ლატორიცას ნაპირებზე. ამ ქალაქის სახელმწიფო თეატრში რამდენიმე ხნის წინათ დაიდგა ოტია იოსელიანის პიესა „სანამ ურემი გადაბრუნდება" (რეჟისორი ნ. შამრაევი, მხატვარი ნ. მანჟელი, კესარიას როლის შემსრულებელი ნ. მალინოვსკაია, აგაბოსი — თ. მალინოვსკი, ბუხუტისა — ლ. როსინსკი, ცაგოსი — გ. რომანოვა)...

იმიერკარპატის უკრაინის გათავისუფლებაში ბევრმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა. მე მიხაროდა, რომ დღევანდელ ამ განახლებულ მიწაზე ახალი თანამედროვე კულტურის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდა ქართველი დრამატურგიც. ჩემს სიხარულს ვერავის გავუზიარებდი, რადგან მაშინ მხოლოდ მარტო მე ვიყავი ქართველი ქალაქ მუკაჩევოში.

სოლომონ ხუციშვილი.

იმ ქარცეცხლიან დღეთა მოსაგონებლად



რაფიელ ერისთავის საიუბილეოდ

პოეტის დაბადების 150 წლისთავის მომწყობი საიუბილეო კომიტეტის სხდომაზე

◆

21 ნოემბერს გაიმართა გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავის დაბადების 150 წლისთავის მომწყობი საიუბილეო კომიტეტის სხდომა.

იუბილესათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა იოსებ ნონეშვილმა. მან თქვა, რომ რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა უკვე მოაწყო სამეცნიერო სესია ახმეტაში — პოეტის მშობლიურ მხარეში. გამომცემლობა „ნაკადული" 20-ათასიანი ტირაჟით გამოსცა რაფიელ ერისთავის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული და ცალკე წიგნად გამოუშვა პოეტის პოპულარული ლექსი „სამშობლო ხევსურისა". ამ დღეებში საზოგადოება „ცოდნა" 40-ათასიანი ტირაჟით გამოუშვებს ბროშურას პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესახებ. გამომცემლობა „განათლება" გამოსცემს პროფესორ შ. ვაშაყმაძის მონოგრაფიას რაფიელ ერისთავის ცხოვრების შესახებ.

რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეწყობა პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები. საზოგადოება „ცოდნა" აწყობს ლექციათა ციკლს.

მწერლის იუბილეს ფართოდ აღნიშნავენ ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, ზუგდიდის მშრომელები.

რაფიელ ერისთავის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი დაიწყება თელავში. აქ პოეტის საფლავზე გაიმართება მიტინგი ქართველ მწერალთა მონაწილეობით. შემდეგ ზეიმი გადაინაცვლებს სოფელ ქისტაურში — რაფიელ ერისთავის სამშობლოში, სადაც აღდგენილია მემორიალური სახლ-მუზეუმი და წარმოდგენილია ახალი ექსპოზიცია.

9 დეკემბერს დღის 12 საათზე მცხეთისა და ერისთავის ქუჩების გზაჯვარედინზე მდებარე სკვერში გაიხსნება რაფიელ ერისთავის ძეგლი, რომლის ავტორია ე. ამაშუკელი, არქიტექტორი — გ. მირიანაშვილი. ამავე დღეს საღამოს რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში გაიმართება დიდი საიუბილეო საღამო.

საიუბილეო ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომაზე გამოვიდნენ საიუბილეო კომიტეტის წევრები გ. გოშაძე, გ. მირიანაშვილი, გ. თავამაიშვილი, დ. გოგოხია, ო. ქინქლაძე, ნ. გურაბანიძე, გ. ასათიანი, თ. ბუაჩიძე, ა. გომიაშვილი, ა. სულაკაური, ვ. ჭელიძე, ა. ბარამიძე, ბ. ჟღენტი, კ. კალაძე, შ. ვაშაყმაძე, შ. რადიანი.

საიუბილეო კომიტეტის სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჩერქეზიშვილი.

(საქინფორმი).

პრობლემები, რომლებიც გვაღელვებს

მთარგმნელი შემოქმედია

ვიზრუნოთ მთარგმნელთა კადრების მომზადებაზე

კარგი თარგმანი ერის სულიერი კულტურის საგანძურში შედის და ხელს უწყობს ადამიანის ჩამოყალიბებისა და ზრდის დიდ საქმეს. მნიშვნელოვანია მისი როლი მთარგმნელის ენის შემდგომ დახვეწასა და გამდიდრებაშიც. ცუდი თარგმანი კი აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს როგორც მკითხველს, ისე ნათარგმნ ნაწარმოებს, რადგანაც ყალბ წარმოდგენას ქმნის ამა თუ იმ მწერალზე ან მის ცალკეულ ნაწარმოებზე. ხშირად კი სუსტი, დაუდევრად შესრულებული თარგმანი მშობლიური ენის აშკარა შებღალვა-დამახინჯებამდეც მიდის. ხშირია შემთხვევა, როდესაც საჭირო წიგნის თარგმნა როგორღაც ხელში უვარდებათ ისეთ პირებს, რომელთაც არ შესწევთ მისი გაკეთების უნარი, მაგრამ ეჩქარებათ თავისი ნაქმნარის სასწრაფოდ და დიდი ტირაჟით გამოცემა.

ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ჩვენში უყურადღებოდ იყო მიტოვებული კვალიფიციური მთარგმნელების მომზადება, და ეს მაშინ, როდესაც რუსეთში და სხვა მოძმე რესპუბლიკებში ეს საქმე კაი ხანია კეთდება. დღეს აღარ კმარა ერთეული პირების ენთუზიაზმი და ინტუიცია. საჭიროა საქმის პერსპექტიული დანახვა და სათანადო ორგანიზაცია, რომელშიც კადრების მომზადებას უპირველესი ადგილი დაეთმობა.

მთარგმნელთა კვალიფიციური კადრების მომზადება ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში უკვე მრავალი წელია გეგმაზომიერად მიმდინარეობს. მაგალითად, მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში არსებობს სპეციალური ჯგუფები, სადაც ამზადებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებიდან რუსულ ენაზე მთარგმნელებს (მათ შორის ქართულიდანაც), რიგაში შექმნილია ლატვიურიდან სხვა ენებზე მთარგმნელთა საკოორდინაციო ცენტრი და სხვა.

ზოგჯერ გაიგონებ ასეთ მსჯელობას: კარგი მთარგმნელი იგივე მწერალია, მწერლობას კი არ ასწავლიან, ამას ნიჭი უნდაო. ცხადია, თუ ადამიანს სათანადო მონაცემები არა აქვს, ის ვერც მწერალი გახდება, ვერც ჟურნალისტი, ვერც მსახიობი ან მუსიკოსი. ასეა მთარგმნელიც. მაგრამ არც ერთი საქმე არ გამორიცხავს სათანადო ცოდნისა და ჩვევების შეძენის აუცილებლობას, საქმის იმ სპეციფიკაში კარგად ჩახედვას, რაც ეგზომ აუცილებელია ამ საქმის წარმატებით შესრულებისათვის. პირიქით. მთარგმნელობითი შემოქმედების თეორიული და პრაქტიკული დონე დღეს ისეთ მოთხოვნილებებს აყენებს, რომელთა დაკმაყოფილებაც კარგი მომზადების გარეშე უკვე შეუძლებელია (დილეტანტიზმის შეუწყნარებლობაზე არაფერს ვამბობთ). დავუმატოთ ისიც, რომ თარგმანი არ არის ერთფეროვანი რამ: სამეცნიერო ტექსტის თარგმნა პრინციპულად განსხვავდება მხატვრული ნაწარმოების თარგმნისაგან. თავისი წესები და კანონები აქვს საზოგადოებრივ-პუბლიცისტური მასალის ან, ვთქვათ, სასკოლო სახელმძღვანელოს თარგმანს. ამ კანონებისა და წესების არცოდნის შედეგია ის მძიმე მდგომარეობა, რომელიც ჯერ კიდევ ხშირად გვხვდება თარგმნილ სახელმძღვანელოებში. სხვადასხვანაირია თარგმანიც: გადაკეთება, თავისუფალი თარგმანი, ავტორიზებული თარგმანი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, და საკუთრივ თარგმანისაგან ამ ტერმინის ზუსტი გაგებით. ერთი სიტყვით, პრობლემაც ბევრია და გასაკეთებელი საქმეც!

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ? უკვე შვიდი წელიწადია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ფილოლოგიური, დასავლეთ ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტები) არსებობს მხატვრული თარგმანის სპეციალიზაცია, რომელიც მოწოდებულია კვალიფიციური მომზადება მისცეს სათანადო მონაცემებისა და მონდომების მქონე სტუდენტებს სხვა ენიდან ქართულად, ხოლო ქართული ენიდან სხვა ენაზე (როგორც წესი — რუსულად) მხატვრული ტექსტის თარგმნისათვის. ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული განყოფილების სტუდენტები ქართულად თარგმნის ხელოვნებას ეუფლებიან, რუსულ განყოფილებაზე კი სწავლობენ ქართულიდან რუსულად თარგმნას. თარგმანი როგორც ცალკე სპეციალიზაცია, ენისა და ლიტერატურის სპეციალიზაციების გვერდით, გათვალისწინებულია ფაკულტეტის სასწავლო გეგმებით და მისი შემოღება უაღრესად საჭირო და დროული საქმეა. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხალხთა შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ინტენსიურ განვითარებაში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უნივერსიტეტში მომზადებულ მთარგმნელთა მცირერიცხოვანი რაზმი წარმატებით მუშაობს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, საგამომცემლო ორგანიზაციებში, რადიო და ტელემაუწყებლობაში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, სადაც ამ ბოლო ხანებში მთარგმნელის შტატებიც კი არსებობს. ახალგაზრდა მთარგმნელთა ნაღვაწი იბეჭდება, იკითხება ტელევიზიითა და რადიოთი და სხვ. დაგროვდა განსაზღვრული პროფესიული და მეთოდური გამოცდილებაც მთარგმნელთა მომზადების საქმეში. დღეს ჩვენ უკვე უკეთესად შეგვიძლია ვიმუშაოთ, ვიდრე ამ 6-7 წლის წინათ. მაგრამ საქმეს აფერხებს და აბრკოლებს მრავალი წვრილმანი და მსხვილმანი საკითხი, რომელთა მოგვარება და გადაჭრა აუცილებელია მუშაობის თვისებრივად გაუმჯობესებისათვის. შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ სპეციალისტის მომზადებაში მარტო მხატვრული ტექსტის თარგმნის სპეციფიკით შემოფარგვლა საკმარისი არ არის. კურსდამთავრებულებს ხშირად უხდებათ პოლიტიკური, ისტორიული, პუბლიცისტური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამხედრო-მემუარული ან სხვა დარგობრივი ხასიათის ტექსტების თარგმნა. ამიტომ მიზანშეწონილია გაფართოვდეს სპეციალიზაციის პროფილი ცხოვრების მოთხოვნილების შესაბამისად: უნდა ვასწავლოთ არა მარტო მხატვრული ნაწარმოების, არამედ სხვა შინაარსის ტექსტის თარგმნაც, რაც უნდა აისახოს გეგმებსა და პროგრამებშიც.

სპეციალიზაციისათვის გეგმებით გამოყოფილი დრო თითქმის საკმარისი იქნება, თუ მას რაციონალურად გამოვიყენებთ. მაგალითად, უფრო მეტი დრო და ყურადღება სჭირდება ისეთ სრულიად აუცილებელ კურსს, როგორიც არის შეპირისპირებითი სტილისტიკა.

თარგმანი ისეთი რამაა, რომ დღეს მისი ძირითადი წესების ცოდნა მეტ-ნაკლებად ყველა სპეციალისტს სჭირდება (ალბათ, ბევრს განუცდია უსიამოვნო გრძნობა: სრულიად გასაგებია ტექსტის შინაარსი, მაგრამ ვერ ვახერხებთ მის გადაცემას მეორე ენაზე, თუმცა ეს ენაც კარგად გვესმის). ამიტომ ალბათ უკვე დადგა დრო ყველა ფაკულტეტზე სტუდენტებს მივაწოდოთ ძირითადი ცნობები თარგმანის შესახებ. ეს უმტკივნეულოდ შეიძლება გაკეთდეს ენების სწავლების ფარგლებში, ისე რომ დამატებითი დრო არ დასჭირდება. რადა თქმა უნდა, პროფილისა და მასშტაბების გაფართოება გამოიწვევს არსებული გეგმებისა და პროგრამების გადასინჯვას, ეს დიდი საქმეა და მის მოსაგვარებლად მოძმე რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილების გამოყენებაც გახდება საჭირო.

მთარგმნელობითი სპეციალიზაციის სტუდენტები ამჟამად სასწავლო პრაქტიკას გადიან სკოლებში, როგორც მომავალი პედაგოგები. ეს, ცხადია, კარგია — ისინი ხომ უპირველეს ყოვლისა ფილოლოგები არიან, — მაგრამ საჭიროა სპეციალური პრაქტიკის შემოღებაც. ამ საქმის მოგვარება არ უნდა გაძნელდეს: რედაქციებში, გამომცემლობებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და სხვა დაწესებულებებში ყოველთვის მრავლად არის სათარგმნი მასალა. მხოლოდ დრო და საქმის ორგანიზაციაა საჭირო. მომავალ მთარგმნელებს ესაჭიროებათ გამოცდილი მუშაკების გვერდითა და ხელმძღვანელობით პრაქტიკის გავლა.

ყოველგვარი საქმისათვის აუცილებელია სათანადო ორგანიზაციული ფორმა. მთარგმნელობით სპეციალიზაციას ასეთი ფორმა დღესდღეობით არა აქვს. ადრე არსებობდა ე. წ. მეთოდური კომისია, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ საქმეს საუნივერსიტეტო მასშტაბით. მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ ფორმამ უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობანი და ფაქტიურად კაიხანია აღარ არსებობს. ამჟამად ეს სპეციალიზაცია თავშეფარებულია სხვადასხვა კათედრებზე და მისი მუშაობის შინაარსი და მოცულობა ხშირად დამოკიდებულია სუბიექტურ და დროებით ფაქტორებზე, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ჯგუფების დაკომპლექტებაზე და კადრების მომზადების მთელ პროცესზე. არ არის არავითარი სამუშაო ბაზა. საჭიროა ორგანიზაციის უფრო სრულყოფილი ფორმა, რომელიც სათანადო უფლებებითა და პასუხისმგებლობით გაუძღვება საქმეს. ასეთი ფორმა ალბათ საფაკულტეტო კათედრაა, რომელსაც ექნება სამუშაო კაბინეტი (ლაბორატორია) სათანადო ლიტერატურითა და საშუალებებით. საქმე ახალია და, ცხადია, სიძნელეებიც ახლავს თან. მაგრამ სწორედ ახალ საქმეს სჭირდება მეტი ყურადღება და მხარდაჭერა.

სახელმძღვანელოებიც არ არის. განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა რუსულ-ქართული (და ქართულ-რუსული) შეპირისპირებითი სტილისტიკის უქონლობა, რომელიც დღეს ეგზომ საჭიროა არა მხოლოდ სტუდენტებისათვის.

და კიდევ ერთი რამ, ახალგაზრდა სპეციალისტს ყოველთვის ძვირად უღირს უფროსი და გამოცდილი კოლეგის თბილი სიტყვა და კეთილი რჩევა-დახმარება. ასეა ყველა საქმეში. ასეა თარგმანშიც. კარგი თარგმანი უნდა იბეჭდებოდეს, ისე მუშაობას აზრი ეკარგება. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ახალგაზრდა მთარგმნელს ყოველთვის გულღიად ხვდებოდნენ ისინი, ვისაც თარგმანი, ეს დიდი ეროვნული საქმე, ცალკეულ პირთა პრივილეგიად მიაჩნია და, როგორც იტყვიან, სათოფეზე არავის უშვებს.

რატომ არ შეიძლება, მაგალითად, ცხადდებოდეს კონკურსი ცალკეული მხატვრული ნაწარმოებების ან სახელმძღვანელოების თარგმანზე ან რედაქტირებაზე? კარგად ჩატარებული ასეთი კონკურსი საგრძნობლად გააუმჯობესებდა ნათარგმნი პროდუქციის ხარისხს და მუშაობის სტიმულს მისცემდა მას, ვისაც შეუძლია საქმის კეთება.

ასეთ კადრებს კი მომზადება უნდა. სისტემატური და კარგად მოფიქრებული მომზადება. ამას მოითხოვს ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისა და პროპაგანდის ინტერესები.

გ. წიბახაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

მოსკოვური დღიურები

◆

ხელოვნების ამბები

გვატყობინებს საკუთარი კორესპონდენტი

მოსკოვში დიდი წარმატება ხვდა ქუთაისის ახალგაზრდულ საესტრადო ანსამბლ „ფაზისს“. მოსკოველები კარგად იცნობდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს, შარშან, საკავშირო სატელევიზიო საესტრადო კონკურსში — „ახალგაზრდათა ხმები-73“ — გაიმარჯვა „ფაზისის“ საესტრადო კოლექტივმა. „ფაზისის“ რეპერტუარშია, ქართული, საბჭოთა და მსოფლიოს ხალხების პოპულარული მელოდიები.

რეჟისორმა ვ. დორმანმა, რომელსაც კარგად იცნობს ჩვენი მაყურებელი ფილმებით — „დედამიწა, მოკითხვამდე!“, „რეზიდენტის შეცდომა“ და სხვ., — დაამთავრა ახალი მხატვრული ფილმის „დაკარგული ექსპედიციის“ გადაღება. ფილმში ასახულია ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის პირველი წლები, როცა ჩვენს ქვეყანას ჰაერივით სჭირდებოდა ოქროს საბადოთა აღმოჩენა. შორეული ციმბირის ტაიგაში, კომკავშირელთა სპეციალური რაზმი, თუმცა დიდია სიძნელეები, წარმატებით ძაძლევს დასახულ ამოცანას. ფილმში ცენტრალური ფიგურაა კომისარი კობახიძე, რომლის როლს ასრულებს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვახტანგ კიკაბიძე.

ამას წინათ მოსკოვში გასტროლები გამართა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, პუჩინის ოპერა „ჩიო-ჩიო-სანის“ მთავარი გმირის მადამ ბატერფლაის ერთ-ერთმა საუკეთესო შემსრულებელმა მოლდავეთის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა მარია ბიეშუმ.

სურათზე: მ. ბიეშუ ჩიო-ჩიო-სანის როლში.

თ. ანანიძის ფოტო. (საქდესის ფოტოქრონიკა).

◆

საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სცენაზე დიდი წარმატებით გამოდის საქართველოს სახალხო არტისტი ზურაბ სოტკილავა. ამჯერად მან ჩვეული ოსტატობით იმღერა მანრიკოს რთული პარტია ვერდის ოპერა „ტრუბადურში“. აღსანიშნავია, რომ ეს პარტია მსახიობმა მოსკოვში მოამზადა და პირველად აქვე იმღერა...

კინოსაკონცერტო დარბაზ „ოქტომბერში“ შედგა ესტრადის მსახიობთა IV საკავშირო კონკურსის ლაურეატის, ინსტრუმენტული ანსამბლის „დიელის“ დასკვნითი კონცერტები. ანსამბლის ხელმძღვანელია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ამირან ებრალიძე.

პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის დარბაზში შედგა ჩაიკოვსკის V საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის რუსუდან გვასალიას კონცერტი. ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსის გამოსვლას დიდი წარმატება ხვდა წილად. „რუსუდან გვასალიას ყოველი კონცერტი მუსიკის ნამდვილი ზეიმია“, — თქვა კორესპონდენტებთან საუბარში ცნობილმა საბჭოთა მევიოლინემ გიდონ კრემერმა.

დ. მაჭავარიანი.



ფერად ოცნებათა სამყარო

სტუმრად ბავშვთა ხელოვნების მუზეუმში



მოსაწვევი ბარათი: მუყაოს პატარა, ოთხკუთხა ფურცელი, მასზე დახატულია წითელქუდა გოგონა. გოგონას ორი ნაწნავი მხრებამდე სცემს, თაფლისფერი, ფართოდ გახელილი თვალებით შემოგვცქერის და გაშლილი მარჯვენა ხელით თითქოს თავისთან გვეპატიჟება.

იქნებ ეს ავტოპორტრეტია? ან პატარა მხატვრის დაიკო, ან კიდევ მეზობელი — ირინე, თამთა, ქეთინო?.. ყოველ შემთხვევაში ყველა მათგანს ასეთი კეთილი, ლამაზი და მეოცნებე თვალები აქვს.

როცა დარბაზის კარი შევაღე, პირველი კვლავ ის წითელქუდა შემომეგება, ის ჩემს მასპინძლად ჩავთვალე და თავიდანვე ასე შევარქვი — „ფერად ოცნებათა სამყაროს დედოფალი“.

სამჯერ ვეწვიე გამოფენას და სამჯერვე თითქოს მეგზური ჩემი „პატარა დედოფალი“ იყო.

... თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის მეხუთე სართული.

... ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის მეორე განახლებული ექსპოზიცია.

... 150 ბავშვის 600-მდე ნამუშევარი.

გამოფენა მრავალფეროვანია, იგი გვთავაზობს ფერწერის, ქვასა, ხესა და ლითონზე ქანდაკებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს.

ნამუშევრებს ავტორთა გვარები არ აწერია. ჩვენი აზრით, ეს მართებულია. მოსაწონია იგი, როგორც პედაგოგიური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

დაე, იყოს ეს გამოფენა ნორჩების ერთობლივი დიდი შემოქმედება, იყოს ჩვენი მომავალი თაობის ნიჭიერების დასტური!

აქა-იქ პატარა შემოქმედთ ნამუშევრებზე თავიანთი სახელები წააუწერიათ. ბევრი მათგანი სამუდამოდ დაგრჩებათ მეხსიერებაში.

ნახეთ შროშელ ნორჩთა თიხის ნაწარმი, ალვანელთა წინდები და ჩითები, ახმეტელთა ხალიჩები, მცხეთელთა აპლიკაციები, მოგხიბლავთ პატარა ანუკას მშვენიერ ფერთა შეხამება, გიას ტუშით შესრულებული რთული კომპოზიციები, ნინოს ზღაპრული ფერები, ეკას დიდებული ფანტაზიით შექმნილი პრინცესები და სასახლეები, გივის „ყვავის ბახალა“, „სპილო“ და „თევზები“, რუსუდანის, ქეთის და ნუცას, გაგას, ნიკოს, ნინოს, მაიას და სხვათა სურვილები, განცდები, ოცნებები ხეში, ქვაში, ლითონში თუ ფერწერულ ნამუშევრებში გადატანილი.

რა მშვენიერად ხედავენ ისინი სამყაროს!

ექსპოზიცია სავსეა ნათელი ფერებით, გადმოცემული მხიარული სიუჟეტებით, სჭარბობს ყვავილები, ფერადი ბურთები, თამაშობები, სიცილითა და ბედნიერი განწყობით სავსეა ბავშვური ხელით მოხაზული სახეები. პატარები გატაცებულნი არიან კოსმოსით, ხელოვნებით, სპორტით...

ამ რვა თვის წინათ, როცა ნორჩთა სურათების გალერეას საფუძველი ჩაეყარა, პირველი ექსპოზიციის გამო ერთ-ერთი ჟურნალი წერდა, რომ ეს იდეა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის სამეცნიერო მეთოდურ კაბინეტში დაიბადა. 1965 წლიდან დღემდე აქ მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის, მათი გემოვნების განვითარების, მხატვრული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარის გაფართოების მიზნით ბევრი ღონისძიება მოეწყო: საქალაქო და რესპუბლიკური გამოფენები, ოლიმპიადები... საუკეთესო ნამუშევრები ხშირად სცილდებოდა სსრ კავშირის ფარგლებს და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, იტალიაში, იაპონიაში, ინდოეთსა და ნორვეგიაში მოგზაურობისას ხიბლავდა მნახველებს. ბოლოს ყველა მათგანმა ამ დარბაზში მოიყარა თავი.

გამოფენის ერთ კუთხეს უცხოელ ბავშვთა ნამუშევრები ამშვენებს.

ეს კარგი საშუალებაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პატარების გაცნობისა და დამეგობრებისა, მათი მეგობრობა კი ბევრი სიკეთის საფუძველია.

ეს მშვენიერი მუზეუმი დიდი, კეთილშობილური, საშვილიშვილო საქმის დასაწყისია.

დ. შენგელია.

სურათებზე: მარცხნივ — **„დედოფალა“, სალომე გიორგაძის ნახატი (7 წლისა); „ძველი თბილისის სურათები“, ნინო ჯაფარიძის ნახატი (12 წლისა).**

ლ. ხერხეულიძის ფოტორეპროდუქცია.

მაღალი შეფასება

უნგრული პრესა რუსთაველის თეატრის გასტროლების შესახებ

ამ ცოტა ხნის წინათ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში წარმატებით ჩატარდა რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირიდან ქართული თეატრი მიწვეული იყო ბუდაპეშტის ხელოვნების ფესტივალზე ლენინგრადის მ. გორკის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივთან ერთად.

ქართველმა მსახიობებმა უნგრეთში სამი სპექტაკლი წარმოადგინეს — ი. კაკონას „ბანკ-ბანი“, პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალი“ და გ. კოროსტილიოვის „ასი წლის შემდეგ“.

უნგრეთის პრესაში მრავალი რეცენზია დაიბეჭდა, რომლებშიც თეატრის კრიტიკოსებმა დიდი შეფასება მისცეს რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის დადგმებს. ქართველ მსახიობებს მასპინძლებმა გულთბილი შეხვედრები მოუწყეს. ყველგან, ეს ბუდაპეშტში იქნებოდა თუ დებრეცენში, მაყურებელი მხურვალე ოვაციებს უმართავდა სტუმრებს, რომელთა მსახიობურმა, საშემსრულებლო ოსტატობამ, ბრწყინვალე რეჟისურამ ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება გაეცნოს თუ როგორ გამოეხმაურა უნგრეთის პრესა ქართული თეატრის გასტროლებს.

გთავაზობთ რამდენიმე რეცენზიას (თარგმანი უნგრულიდან მ. სალაძისა) ზოგიერთი შემოკლებით.

გაზეთი „მადიარ ნემზეტი“ — თეატრალური კრიტიკოსი — ბელა ბეტეგ მატრაი:

„იწყება სპექტაკლი — პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალი“ და უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ჩვენი სტუმრების თამაშის სტილი, მხატვრული სახის შექმნის მანერა. ამ თეატრალურ, მხიარულ ეპოსში მსახიობები ერთდროულად ქმნიან პერსონაჟების სახეს და ნიღაბს. რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე წრფელი, ხალხური ხმით იწყებს სპექტაკლს და ეს ჯანმრთელი ხმა წარმოდგენას ბოლომდე მიჰყვება. ამ ხმას რეჟისორი ინარჩუნებს და სულ უფრო და უფრო ზრდის და ამდიდრებს კიდევაც, უხვად გადმოგვცემს მას სხვადასხვა იდეებში, იუმორში, მხიარულ განწყობილებაში“.

„...მსახიობების ზეაწეული კომედიური განწყობილება გულწრფელი და დამაჯერებელია. ასეთია, მაგალითად, მსახიობ ლ. ანთაძის ეგრეთწოდებული ქოსატყუილა ლიპარიტე, რომელიც მთელ მოქმედებას ეშმაკურად ატრიალებს. ეს საუცხოო მსახიობი ქმნის ვერაგი (ზოგჯერ ბრძენი), თვალთმაქცი ადამიანის მრავალფეროვან ტიპობრივ სახეს. აქვე ვეცნობით ქალების მოტრფიალე ყმაწვილს, რომელსაც ვეებერთელა ტანი, ხელები და მხრები აქვს. მას მსახიობი სოსო გოგიჩაიშვილი განასახიერებს. კომიკოსისათვის ტანის ეს აგებულებაც კი საკმარისი იქნებოდა მაყურებლის გასაცინებლად, მაგრამ მსახიობი საპირისპიროდ იყენებს თავის ფიზიკურ მონაცემებს. იგი თითის წვერებზე დადის, მისი ჟესტები ნაზია, მეტყველება — ზომიერი და დახვეწილი. ასეთი კეთილშობილი კომედიური საშუალებებით ძერწავს ეს მსახიობი თავის პერსონაჟს.

ასეთივე დახვეწილი კომედიური საშუალებებით ქმნის ხანის სახეს მოლაპლაპე ხმლების ფონზე. ამოუწურავი იუმორის და მრავალფეროვანი მანერების მქონე ბრწყინვალე მსახიობი თ. მაისურაძე, მხოლოდ ქების ღირსნი არიან სხვა მსახიობებიც: გ. ბერიკაშვილი, კეთილი მოლაყბის როლში, ქ. კიკნაძე — ანჩხლი დიასახლისი და გაბედული ამაზონელი ქალი ია ხობუა, გ. სიხარულიძე, ი. გორგილაძე, და სხვ“.

გაზეთი „ნეპსაბადშაგი“ — თეატრალური კრიტიკოსი — პეტერ გალ მოლნარი:

„ახლა, როცა „ბანკ-ბანის“ ჩვენება ბუდაპეშტის ოპერეტის თეატრში და დებრეცენის ჩოკონაის თეატრში წარმატებით დასრულდა, შემიძლია ვაღიარო, რომ მე არც თუ მთლად მშვიდად ველოდი ამ წარმოდგენას. მე ხომ ერთ-ერთი ვიყავი იმ კრიტიკოსთაგან, რომლებიც რუსთაველის პრემიერის შემდეგ აღფრთოვანებით წერდნენ ქართული „ბანკ-ბანის“ შესახებ.

„ბანკ-ბანმა“ როგორც ადრე რუსთაველში, ბუდაპეშტშიც მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. თანაც უფრო დიდი, დახვეწილი, მხატვრული, ვიდრე ამ სამწელიწადნახევრის წინათ. დავიწყოთ იქიდან, რომ ო. მეღვინეთუხუცესი დღეისთვის, (ამ სპექტაკლში) დასრულებულ ხელოვანად იქცა, რომელმაც უწყის ყველაზე ძნელი რამ სცენაზე: უძრავად დგომაშიც დუღს მის არსებაში განცდები, უკანა პლანზე დარჩენილი მნიშვნელოვნად მძიმე დუმილშიც მოღალატე და ჩურჩულშიც გამყინავი შინაგანი ტკივილი, კეთილშობილურად დინჯ, მხოლოდ სულიერად დაძაბულ პოლიტიკოსს გადმოგვცემს მეღვინეთუხუცესი, რომელიც წააგებს ფერენც ბეშენეის უკანასკნელ ბანქს. დაწმენდილი, ძლიერი და აზრობრივი ქმნილებაა მისი ბანკ-ბანი. თამარ სხირტლაძემ, პრემიერის მღელვარებასა და ეჭვებს რომ გასცდა შექმნა ჭკვიანი, მაგრამ ღვარძლიანი პოლიტიკოსი ქალი.

ახლა გაცილებით მომეწონა მოხუცი ვარსკვლავი ა. ვასაძე — პეტურ ბანი. უფრო მეტი სიწრფელე, მეტი გრძნობა, მეტი გულახდილი ენება მოგროვდა მის თამაშში, ვიდრე პრემიერაზე. და დღესაც ისეთივე ვაცლინა მოახდინა ამბოხებულების სცენამ ჩემზე, როგორც მაშინ“...

გაზეთი „კეტფოი კირეპი“:

„...უპირველესად გვსურს დავასახელოთ დიდი ხელოვანი გ. სიხარულიძე (ტიბორტის როლში), რომელიც თავისი სტილით ჩვენს მარტონ რიტკაის გვაგონებს. ისეთი წრფელი ტიბორტი, როგორსაც ქართველი მსახიობი წარმოგვიდგენს, უნგრულ სცენაზე კი იშვიათად გვინახავს“ („ბანკ-ბანი“).

გაზეთი „მადიარ ნემზეტი“:

„...ოტოს სახე, ისე როგორც მას ნ. მგალობლიშვილი თამაშობს, თავისი შინაგანი ბუნებით უაღრესად საინტერესოა, თითქმის აღმოჩენაა ჩვენთვის. მსახიობი წარმოგვიდგენს ნერვულად მოქანცულ, განადგურებულ მამაკაცს, რომელიც ხან მეტისმეტად დაძაბულია, ხანაც ძალიან მოდუნებული. იგი მღელვარე, ინსტინქტურ სამყაროში ცხოვრობს. ასე იქცევა იგი ლ. ფილფანის მიერ საოცრად ახლებურად განსახიერებულ ბიბურახის კონტრასტულ პიროვნებად. საერთოდ, ეს ორი პერსონაჟი ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე მხარეა რუსთაველის თეატრის სპექტაკლისა“ („ბანკ-ბანი“).

გაზეთი „მადიარ ნემზეტი“ — კრიტიკოსი ბელა ბეტეგ მატრაი:

„რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ და მსახიობთა დასმა ობიექტურობისა და ენებათაღელვის სინთეზს მიაკვლიეს, მიაკვლიეს გასაღებს თეატრალურისა და ცხოვრებისეულის ამოსახსნელად, იპოვნეს შესაფერისი ტონი მოქმედების დრამატული გადმოცემისათვის. გულწრფელობა მათთვის ხდება საყრდენი ცრემლებისათვის, ვნებათაღელვისათვის.

სპექტაკლს — „ასი წლის შემდეგ“ — სცენაზე დრამატული აღტკინება და წყნარი ტკივილები შემოაქვს. მსახიობი გ. გაბუნია არ მალავს გრძნობებს, გზას აძლევს ცრემლებს, რადგან გმირი ქალის ბედი სიყვარულის დაკარგვის საშიშროების წინაშე დგას და ეს გარემოება ამართლებს მის ყრუ ქვითინს. სიმართლისათვის წამებულ რაინდს განასახიერებს ო. სეთურიძე.

მეფის ჭკვიან პოლიტიკოსს ბრწყინვალედ განასახიერებს გ. სიხარულიძე.

ო. მეღვინეთუხუცესის ნიკოლოზ I მრავალმხრივ სულიერ განწყობას, ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათს აერთიანებს ერთ როლში. ეს საუკეთესო მსახიობი შთამბეჭდავად გვიხატავს ნიკოლოზის რთულ ხასიათს.

გულისამაჩუყებლად თბილ, გულუბრყვილოდ მოგიზგიზე ამბოხებულსა და მიჯნური ახალგაზრდის სახეს ქმნის მ. გორგილაძე. მისი პეტრე ოლენსკი აღსავსეა რწმენით, როგორც რევოლუციის საქმისადმი, ისე ქალის თვალებისადმი.

სცენის რომელ მხარესაც არ უნდა გაიხედო, ყველგან გამოცდილი მსახიობები დგანან, ამ ისტორიულ დრამაში ნამდვილ თეატრალურ პორტრეტებს ქმნიან მსახიობები ნ. მგალობლიშვილი, ზ. ლებანიძე, ს. გოგიჩაიშვილი.

ამ სპექტაკლის მოძრავი, გამომსახველი, მოქმედებასთან შერწყმული დეკორაციებისა და კოსტუმების მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ მამია მალაზონიას“.

სურათზე: სპექტაკლ „კახაბერის ხმლის“ მონაწილენი მიესალმებიან მაყურებლებს. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზღვისპირა ქალაქში

ფოთში აღიმართება ნიკო ნიკოლაძის ძეგლი

გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს რევოლუციამდელი ფოთის აღორძინება-განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. ფოთის მშრომელებმა ჯერ კიდევ 1968 წელს გადაწყვიტეს თავიანთ ქალაქში აღემართათ მისი ქანდაკება.

ძეგლის შექმნა დაევალა რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარს ვლადიმერ ჩხეიძეს. მოქანდაკე ამ საპატიო დავალებას დიდი მონდომებით და სიყვარულით შეუდგა. მან დაწვრილებით შეისწავლა თავისი გმირის შემოქმედებითი სამყარო და დიდძალ მასალას გაეცნო. ყოველივე ამის შემდეგ ბევრი ესკიზი, ეტიუდი, კომპოზიცია შექმნა ფანქრით, პლასტელინით, ხითა და თაბაშირით. ოთხი წლის მანძილზე ხვეწდა ქანდაკების ყველა დეტალს და საბოლოოდ ერთ კომპოზიციაზე შეჩერდა.

ნიკო ნიკოლაძის ქანდაკება ისეთი რეალისტური და ოსტატური მანერით არის გააზრებული, რომ გვგონია ცოცხალ ადამიანად წარმოგვიდგენ, რომელიც სუნთქავს, ფიქრობს, აზროვნებს. ქანდაკებაში მისი მდიდარი სული ამოიკითხება. შთამაგონებელია ფრონტალური კომპოზიციის სისადავე და დამთავრებულობა. ფიგურის ანატომიური სილამაზე, სახის ნაკვთების დახვეწილობა, პლასტიკური ფორმის ზომიერი გადასვლები შუქ-ჩრდილის ენერგიულ თამაშს ქმნის ფიგურის მთელ ზედაპირზე.

გავა ხანი და ქანდაკება სათანადო ადგილს დაიჭერს ზღვისპირა ქალაქში.

ს. ნაციაშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი.



სურათზე: ნ. ნიკოლაძის ქანდაკების ფოტორეპროდუქცია.

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

მაშ ასე — კარპოვი

გუშინ მოსკოვში, ესტრადის თეატრში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების ანატოლი კარპოვისა და ვიქტორ კორჩნოის ფინალური მატჩის უკანასკნელი, 24-ე პარტია.

31-ე სვლაზე კორჩნოიმ უკვე წაგებულ პოზიციაში ყაიმი შესთავაზა მეტოქეს.

ამრიგად, **ანატოლი კარპოვმა** შეინარჩუნა ერთქულიანი უპირატესობა და **მოიპოვა უფლება შეხვდეს მსოფლიოს ჩემპიონ რ. ფიშერს.**

საქართველო — ბელორუსია

დაწინაურდნენ მასპინძლები

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა პირველ ტურთან შედარებით მნიშვნელოვნად შეცვალეს შემადგენლობა. ქალთა დაფებზე ოსტატების — კობაიძისა და ხუგაშვილის ნაცვლად ამჯერად მსოფლიოს ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა და მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტმა ნ. ალექსანდრიამ, ვაჟთა პირველ დაფაზე კი — გროსმაისტერმა ბ. გურგენიძემ ითამაშეს.

პირველ დაფაზე გურგენიძემ მძიმე პოზიცია მიიღო ოსტატ კაპენგუტთან და წააგო. მიქაძეს სერიოზული შეცდომა მოუვიდა ოსტატობის კანდიდატ ცარენკოვთან და დამარცხდა. წააგო აგრეთვე ზაიჩიკმა — ოსტატობის კანდიდატ ბასინთან.

გაიმარჯვა მხოლოდ ნონა გაფრინდაშვილმა, რომელმაც თანდათანობით შეავიწროვა საერთაშორისო ოსტატ ზვორიკინას პოზიცია.

როიზმან-ბოკუჩავას და ალექსანდრია-კოსტინას პარტიები გადაიდო.

პარტიის განახლებისას ალექსანდრიამ მოიგო, ხოლო ბოკუჩავამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა.

მეორე ტურის ანგარიშია 5:4 ბელორუსიის გუნდის სასარგებლოდ.

ამრიგად ორი ტურის შემდეგ ანგარიშით 10,5:7,5 წინ არიან მასპინძლები.

ფეხბურთი

პრიზები და...

ჩემპიონატი ციფრებსა და ფაქტებში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო უმაღლესი ლიგის გუნდების ჩემპიონატის მსაჯთა ყველა 240 ოქმი. რას გვატყობინებენ ისინი?

მეკარეები. 573-ჯერ იძულებული იყვნენ ბურთი გამოეტანათ კარის ბადიდან (წინა სეზონში 548-ჯერ). საშუალო შედეგიანობა 2,35 ბურთია მატჩში.

ორჯერ საკუთარ კარში ბურთები გაიტანეს: ს. ოლშანსკიმ („სპარტაკი“), ვ. გოლუბევმა („ზენიტი“).

რვა ფეხბურთელმა შეუცვლელად ყველა თამაში ჩაატარა. ესენი არიან ნ. მესროპიანი და ო. ზანაზანიანი (ორივე — „არარატი“), მ. ფომენკო (კიევის — „დინამო“), ვ. ბასალაევი (მოსკოვის „დინამო“), ს. ბაიშაკოვი („კაირატი“), ლ. სადირინი („ზენიტი“), ა. ტუკმანოვი, („ტორპედო“), ა. რიბაკი („ნისტრუ“).

ყველაზე პოპულარული ანგარიში იყო 1:0. ამ ანგარიშით დამთავრდა 45 მატჩი. შვიდჯერ (სხვებზე მეტჯერ) ასეთი ანგარიშით წააგო „არარატმა“ და ექვსჯერ გაიმარჯვა „ჩერნომორეცმა“. 87 შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

მასპინძლებმა 327 ქულა მოიპოვეს, სტუმრებმა — 157.

მსაჯებმა 47-ჯერ დანიშნეს პენალტი (34-ჯერ სტუმართა კარში და 13-ჯერ — მასპინძელთა კარში), აქედან 37 პენალტი დამრტყმელმა გაიტანა. 8-ჯერ დაარტყა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო „პახტაკორმა“, აქედან 6 დარტყმამ მიზანს მიაღწია. მ. ანმა ასპროცენტიან შედეგს მიაღწია — 6 გატანილი ბურთი 6 პენალტით. ოთხ შესაძლებელში ოთხჯერ გაიტანა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით ბურთი თბილისელმა ვ. ჭელიძემ. პენალტი არც ერთხელ არ დაურტყამთ „ნისტრუს“ ფეხბურთელებს, მათ კარში, აგრეთვე „კაირატის“ კარში თერთმეტმეტრიანები დაინიშნა ხუთ-ხუთჯერ.

ექვს მილიონზე მეტმა მაყურებელმა ნახა XXXVI პირველობის შეხვედრები, აქედან მილიონზე მეტმა — ჩემპიონის მონაწილეობით.

პირველი ბურთი გავიდა 12 აპრილს ტაშკენტში („პახტაკორის“ კარში). ეს ბურთი გაიტანა ზენიტელმა ა. ზინჩენკომ, უკანასკნელი ბურთი სეზონში მოდის თბილისელი დინამოელის გივი ნოდიას ანგარიშზე.

გ. ი. ფედოტოვის სახელობის, **„საუკეთესო სხვაობისათვის“, „ორი შემადგენლობით“, „უძლიერესი დუბლიორების“, „ალმის ღირსების“** პრიზების მფლობელები გახდნენ **კიევის „დინამოს“** ფეხბურთელები — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონ ე ბ ი. **„სპარტაკს“** წილად ხვდა ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ხოკეის“ პრიზი — **„დიდი ანგარიშისათვის“,** აგრეთვე ჯილდო **„აგრესიული სტუმარი“.** კიეველთა თავდამსხმელმა **ო. ბლოხინმა** მოიპოვა გაზეთ „ტრუდის“ ჯილდო **საუკეთესო ბომბარდირისათვის** (20 ბურთი).

გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ პრიზი **„გამარჯვებისადმი სწრაფვისათვის“** გადაეცემა **„არარატს“.**

ცამეტმა ფეხბურთელმა შეძლო ბურთის გატანა, როცა შემცვლელად გამოვიდა. წარმატება მოიპოვეს გ. ხრომჩენკოვმა („ზენიტი“) და ვ. ზუბკოვმა („ჩერნომორეცი“) — ორ-ორჯერ, ე. კოზინკევიჩმა („კარპატი“), ვ. ტომაშევსკიმ („ჩერნომორეცი“), რ. ატამალიანმა („ნისტრუ“), ა. კოზლოვსკიხმა (არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი), ვ. სტულჩინმა („ზარია“), ი. კარასმა („ნისტრუ“), ა. შეპელმა (კიევის „დინამო“), ვ. პროკოპენკომ („ჩერნომორეცი“), ი. ელისეევმა („ზარია“), ვ. ვარიუხინმა („პახტაკორი“), ე. ლოვჩევმა („სპარტაკი“).

ერთადერთი გუნდია „ნისტრუ“, რომელმაც ვერც ერთხელ ვერ გაიმარჯვა სტუმრად. თავის მოედანზე კი არც ერთი მატჩი არ წაუგიათ კიევის დინამოელებს, „ჩერნომორეცსა“ და „კარპატს“.

(საქდესი).

იშვიათი შემთხვევა

ვინ იფიქრებდა...

და-ძმა ევდოკია და ივანე კალესნიკოვები სტუმრად იყვნენ ნათესავებთან უკრაინაში... როცა შინისკენ ბრუნდებოდნენ, გზაში ომმა მოუსწროთ...

სამგზავრო მატარებელი, რომლითაც და-ძმა მგზავრობდა, მტრის თვითმფრინავებმა დაბომბეს, ცეცხლი წაუკიდეს და მწყობრიდან გამოიყვანეს. გაისმოდა სასიკვდილოდ დაჭრილ-დასახიჩრებული მგზავრების კვნესა-გოდება...

— ვანია! — სასოწარკვეთილი გაჰკიოდა სასწაულებრივად გადარჩენილი ევდოკია.

და ეძებდა ძმას დაჭრილებსა და დახოცილებში, საველე ჰოსპიტლებსა და სავადმყოფოებში, ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდა, მაგრამ ამაოდ...

გზაკვალაბნეული, გაოგნებული ქალიშვილი და მის ბედში მყოფი ერთი ჯგუფი ევაკუაციით მოხვდა საქართველოში. ქართველმა მოსახლეობამ მათი ჭირ-ვარამი მტკივნეულად გაიზიარა, გულთან მიიტანა და ყველას, განურჩევლად, ჩვეული მეგობრული ხელი გაუწოდა...

ევდოკია გურჯაანის რაიონის ხოფელ ჭანდარში დასახლდა. იგი პირველივე დღეებიდან დაუახლოვდა თანატოლებს, ჩაება შრომაში და მალე მოწინავე, ბეჯითი კოლმეურნის სახელი მოიხვეჭა... ქალიშვილი საბოლოოდ დამკვიდრდა ჭანდარში — დაოჯახდა, შეუღლდა ვარდო ქადაგიშვილთან, შეეძინა ორი ვაჟი... ყველაფერი კარგად მიდიოდა, ნანატრი უსრულდებოდა, მაგრამ ძმის ჯავრი მოსვენებას უკარგავდა, ეძებდა მას და ყოველთვის გულნატკენი რჩებოდა, როცა უარყოფით პასუხს იღებდა. უკანასკნელად ევდოკიას მშობლიურ ქალაქ ბარნაულიდან მეზობლებმა შეატყობინეს, მოხუცი მშობლები აღარ გყავანან, ხოლო შენი ძმისა — ივანესი არაფერი ვიცითო.

სამ ათეულ წელზე მეტმა განვლო. თითქმის ყველა იმედი ამოიწურა და ევდოკია შეურიგდა ძმის უგზოუკვლოდ დაკარგვასაც. წლეულს კალესნიკოვა-ქადაგიშვილმა ერთხელ კიდევ მიმართა წერილობით სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საზოგადოების სამძებრო სამმართველოს და სთხოვა დახმარების აღმოჩენა. საზოგადოებამ ევდოკიას განცხადება შინაგან საქმეთა გურჯაანის განყოფილებას გადაუგზავნა... ძებნა საპასპორტო მაგიდის უფროსს, ლეიტენანტ იოსებ შიოშვილს დაევალა...

საბოლოოდ დადგინდა:

ევდოკიას ძმა — ივანე პანტელეიმონის-ძე კალესნიკოვი ცოლშვილით ჯერ ყვარელში დასახლებულა, საბოლოოდ კი — ქალაქ თელავში...

— მითხარით ჩემი ძმის მისამართი! — ევედრებოდა აღტაცებული ევდოკია იოსებ შიოშვილს.

— ინებეთ! — გაუწოდა ქაღალდზე დაწერილი მისამართი მილიციის ახალგაზრდა ოფიცერმა, — თქვენი ძმის ოჯახში რძალი და მისი ქალიშვილი ვალენტინა დაგხვდებათ.

— ჩემი ძმა?

— თქვენი ძმა, სამწუხაროდ...

— ნუთუ იგი აღარ არის!?

— შარშან გარდაცვლილა...

მართლაც, ვინ იფიქრებდა, რომ ოცდაათი წელი და-ძმა ქალაქ თელავსა და გურჯაანის რაიონში ცხოვრობდნენ და ერთმანეთს კი ვერ შეხვდნენ.

გ. პაპიაშვილი,
მილიციის პოლკოვნიკი.

მოვაშოროთ ლოთები საჭეს

◆

ჭკუა ვერ ისწავლეს

ჭიათურა. (საქ. კორ.). მარგანეცის ქალაქში ბევრი რამ გაკეთდა მოძრაობის წესების დაცვისა და მძღოლთა პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ არიან უდისციპლინო, დაუდევარი, ლოთი მძღოლები, რომლებიც უხეშად არღვევენ მოძრაობის წესებს. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ლოთობა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო წლევანდელი წლის ცხრა თვეში 68 მძღოლი მანქანას ნასვამი მართავდა. მათ ერთი წლიდან სამ წლამდე აეკრძალათ საჭესთან ჯდომა.

ზოგიერთმა მძღოლმა მაინც ვერ ისწავლა ჭკუა და მოძრაობის უსაფრთხოების ერთთვიურის დღეებშიც კი დაარღვია წესები. მაგალითად, რით უნდა იმართლოს თავი ჭიათურის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლმა ჯ. მაჭავარიანმა, რომელმაც 8 ოქტომბერს მუშაობის დამთავრების შემდეგ მანქანა გარაჟში არ დააყენა და მთვრალი დააქროლებდა ქალაქის ქუჩებში? 12 ოქტომბერს ა. ნიორაძე ნასვამი მართავდა საკუთარ მოტოციკლს და ამით საფრთხეში აგდებდა თავის თავსაც და სხვებსაც. იმავე დღის დაავალის გ. შალამბერიძე, რომელიც აგრეთვე მთვრალი მართავდა საკუთარ „მოსკვიჩს“. ასეთივე მდგომარეობაში უჯდა მამამისის საკუთარ მანქანის საჭეს გ. გულიაშვილი.

ავტომანქანის საჭესთან მთვრალი ჯდომა დანაშაულია.

ვ. ჭიოკაძე.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ტელევიზია

23 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 12.30 — სატელევიზიო ფილმი, 13.00 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 13.30 — კინონარკვევი, 13.45 — „ჯანმრთელობა“ სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 14.45 — სატელევიზიო ფილმი „წკიპურტები“, 16.10 — კანონიერების სადარაჯოზე, 16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — სტუდიაში პოლიტიკური მიმომხილველი ი. ჟუკოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — „ახალგაზრდობა“ სატელევიზიო პროგრამა, 18.40 — „ქართული პანტომიმა“, 19.15 — ფილმი-ბალეტი — „ოტელო“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — სცენები სპექტაკლიდან „მეტეხის ჩრდილში“ ს. ზაქარიაძის მონაწილეობით, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ერთი დღე მუსიკალური კომედიის თეატრში“ — დასასრულ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები, 19.00 — „თბილისი და თბილისელები“, 19.30 — მხატვრული ფილმი „ვოლგა-ვოლგა“, 21.10 — რეკლამა, 21.20 — კონცერტი.

რადიო

24 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოაფიშა“, 12.15 — ო. თევდორაძე — ნაწყვეტები ქართული სუიტიდან, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის: კონცერტი-საუბარი „ს. რახმანინოვის მესამე სიმფონია“, 14.00 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 14.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 14.45 — სულხან-საბა ორბელიანი. „სიბრძნე-სიცრუისა“ — მხატვრული კითხვა, 15.30 — საუბარი „შესანიშნავი მეგობრობის ნაყოფი“ (მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 50 წლისთავისათვის), 15.45 — უკრავს საფორტეპიანო დუეტი მ. ფანიაშვილისა და მ. ალთუნაშვილის შემადგენლობით, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — განცხადებები, 17.15 — მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა „სათაფლია“, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.30 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 20.35 — ვაჟა-ფშაველა „სტუმარ-მასპინძელი“. რადიოდადგმა, 21.25 — ძველებური მუსიკის კონცერტი, 23.30 — ნ. ბრეგვაძისა და ანსამბლ „ორერას“ კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ნუ ჰყნოთ, ნუ მოსწევთ

თეატრები

23 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მოახლე ქალბატონი; ჯამბაზები (VI აბონ. II წარმ.); **კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ვოდევილები.**

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04818

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14